# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყოვლად უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 19 დეკემბერი. 2022 წ. №188 (9526) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


# „როკენროლი“, ანუ გარდამტეხი ეტაპი საქართველოს ეკონომიკაში

**ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტით გაიზრდება ტრანზიტისა და ვაჭრობის შესაძლებლობა ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის.**

**ირაკლი ღარიბაშვილი**

## საქართველომ, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და უნგრეთმა შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტს ხელი მოაწერეს.



ხელმოწერის ცერემონია რუმინეთში, კოტროჩენის სასახლეში გაიმართა. დოკუმენტი გააფორმეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა,** რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა **ნიკოლაე ჩუკამ** და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა **ვიქტორ ორბანმა**.

ცერემონიას ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი** დაესწრო.

დოკუმენტი ეფუძნება ოთხი ქვეყნის ინტერესებს, რომელიც დაკავშირებულია შავი ზღვის აუზში ეროვნული და რეგიონული ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კავშირის კონსოლიდაციასთან, მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციასთან, კასპიის ზონაში განახლებადი ენერგიის წარმოების პოტენციალის კაპიტალიზაციასა და განახლებადი ენერგიის წილის გაზრდასთან.

ოთხმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმება უზრუნველყოფს წყალქვეშა კაბელის პროექტის რეალიზაციას რუმინეთსა და აზერბაიჯანს შორის, საქართველოსა და შავი ზღვის გავლით, განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისთვის.

შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის წყალქვეშა გადამცემი კაბელის პროექტი არის ენერგეტიკის სფეროში შეთანხმების ნაწილი, ევროკომისიასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის და ამავე დროს, საფლაგმანო პროექტი საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირის „გლობალური კარიბჭის“ სტრატეგიის ნაწილი.

ამასთან, ხელმოწერის ცერემონიამდე საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელებმა და ასევე ევროკომისიის პრეიდენმა განცხადებები გააკეთეს.

როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა, **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** აღნიშნა, **შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელი იქნება ახალი შესაძლებლობის ფანჯარა, ეს პროექტი საქართველოს ელექტროენერგიის ჰაბად აქცევს.**

ამასთან, საქართველოს პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, რომ **ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტით გაიზრდება ტრანზიტისა და ვაჭრობის შესაძლებლობა ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის.**

რუმინეთის პრეზიდენტმა **კლაუს იოჰანისმა** კი შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტს ამბიციური შეთანხმება უწოდა: **„წყალქვეშა ელექტროკაბელის შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ციფრული კაბელი, ველოდებით, რომ გაფართოვდება საზღვაო ტრანსპორტის მხრივ თანამშრომლობა საქართველოსთან, რომელიც ჩვენი ხანგრძლივი პარტნიორია“.**

ამასთან, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** აღნიშნა, რომ **აზერბაიჯანი, საქართველო, რუმინეთი და უნგრეთი ერთი გუნდის პრინციპით უნდა მუშაობდნენ, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ევროკავშირთან, ჩვენი ქვეყნები აპირებენ, ევროპაში მწვანე ენერგიის სანდო მიმწოდებლები გახდნენ.**

უნგრეთის პრემიერმა **ვიქტორ ორბანმა** პროექტს ისტორიული უწოდა და აღნიშნა: **„ეს არის ინოვაცია, 30 წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, ვიტყოდი, ნამდვილი როკენროლია, რომ ყველაზე გრძელი კაბელი იდება შავი ზღვის ფსკერზე“.**

ამასთან, ევროკავშირის სამეზობლო და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა **ოლივერ ვარჰეიმ** რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ **ევროკავშირი გააგრძელებს მუშაობას აღმოსავლეთ პარტნიორებთან, რომ დაჩქარდეს ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმით პროექტების იმპლემენტაცია.**

მისივე თქმით, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ გადამწყვეტ ინსტრუმენტად რჩება.

**„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ რჩება გადამწყვეტ ინსტრუმენტად მედეგობის, აღდგენისა და რეფორმების წინ წასაწევად. ჩვენ ვიმუშავებთ პარტნიორებთან, რათა დავაჩქაროთ ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმით გაწერილი 17 მილიარდი ევროს ღირებულების პროექტების იმპლემენტაცია. მნიშვნელოვანია მწვანე და ციფრული გარდაქმნის დაჩქარება და დაკავშირების გაუმჯობესება“,** — განაცხადა ვარჰეიმ.

## პუტინი წლის მთავარ ლუზერად იქცა



③

ომარ მარგველაშვილი:

## წარმატებულ ხელისუფლებას დასავლეთი და ოპოზიცია დაუნდობლად ებრძვიან!

④

## გოლი-10-ის მე-6 გოლი



⑩



**საქართველოს პრეზიდენტმა ორბელიანების სასახლეში დიპლომატიური კორპუსის წინასაახალწლო მიღებაზე უმასპინძლა**

## სალომე ზურაბიშვილი:
# ომი უკრაინაში საქართველოსთვის გამოწვევაა, რადგან ის ხსნის ჩვენს იარებსა და ჭრილობებს და იმ შიშს, რომელიც რუსეთის ყველა მეზობელ მცირე სახელმწიფოს აქვს!

**ძვირფასო ელჩებო, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებო და ძვირფასო სტუმრებო!**

**ძალიან დიდი პატივია ჩემთვის დღეს თქვენი მასპინძლობა.**

**ეს წელი ერთ-ერთი ყველაზე გამოწვევებით სავსე, მაგრამ ამავდროულად იმედიანი წელი იყო.**

**ეს იყო უკრაინის წელი. უკრაინა, რომელმაც ამ არაპროვოცირებულ და სრულიად უსამართლო აგრესიის ქარცეცხლში გაიარა, უკვე 10 თვეა უძლებს ამ ყველაფერს. ეს გახლავთ ამაყი ხალხი, რომელმაც აჩვენა, რას ნიშნავს იყო გამძლე, რას ნიშნავს გაუძლო ამ ყველაფერს და იყო გაერთიანებული ამ პროცესში.**

**ამ პროცესში უკრაინელმა ხალმა და მისმა ლიდერებმა რეალურად დაამარცხეს რუსეთი, ან სულ მცირე, უკვე დაამარცხეს რუსული პროპაგანდა, რუსეთის სტრატეგია, რომელიც რუსეთმა არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე შეცვალა. დაამარცხა რუსეთი, რადგან მსოფლიომ დაინახა ის, რისი დანახვაც მანამდე არ სურდა – წინა აგრესიები: 1992, 2008, 2014. მსოფლიომ აღმოაჩინა და დაინახა რუსეთის ნამდვილი სახე.**

**წლევანდელი წელი ასევე ევროპის წელი გახლავთ. ევროპაში ასევე არის გამოწვევები და არის იმედიც. გამოწვევაა, რადგან, ევროპის შექმნის გაზისი – სამუდამოდ გავთავისუფლებულიყავით ომებისგან, ისევ დაბრუნდა ევროპის შუაგულში, ეს გამოწვევები, გარკვეულწილად, ამარცხებს ევროპის ამ მიზანს, თუმცა, ეს ასე არ არის და ამ გამოწვევების წყალობით, ევროპა რეალურად გაიხსნა, გაფართოების პერსპექტივების მიმართ უფრო გახსნილი გახდა და ეს ევროპული პოლიტიკის წარმატების შედეგია. ვხედავთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს სრული, ერთიანი ძალა, რომელიც არ ყოყმანობს მისი პარტნიორების მხარდასაჭერად და აჩვენებს, თუ რას ნიშნავს იყო ახალი ძალა.**



**ეს არ არის მარტივი პროცესი – გაერთიანდე, იყო დამოუკიდებელი და გქონდეს ენერგოდამოუკიდებლობა. ყველამ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია, რამდენად რთული და მძიმეა ეს მოსახლეობისთვის; მაგრამ ამის შედეგად ევროპა ახლა ხდება ძალა, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული და პატივცემული ყველა მხარის მიერ. ხდება მისი ერთიანობის, მყარი ერთიანი გადაწყვეტილების დემონსტრირება და ჩვენება. სწორედ ამ ევროპასთან გვინდა ახლოს ყოფნა და ინტეგრირება.**

**ეს წელი ასევე გახლდათ ქალების წელი, ისევ და ისევ უკრაინელი ქალების წელი, ირანელი ქალების წელი და მინდა, მათ მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემა გამოვხატო.**

**როგორი წელი იყო საქართველოსთვის? აქაც არის გარკვეულწილად, ნარევი გამოწვევებისა და ახალი შესაძლებლობებისა. რა თქმა უნდა, თავისთავად, ომი უკრაინაში საქართველოსთვის გამოწვევაა, რადგან ის ხსნის ჩვენს იარებსა და ჭრილობებს და იმ შიშს, რომელიც რუსეთის ყველა მეზობელს, განსაკუთრებით, შედარებით მცირე სახელმწიფოს აქვს. და მიუხედავად ამისა, თითოეულ ეტაპზე, მინდა ხაზი გავუსვა ქართველი ხალხის სრულ სოლიდარობას უკრაინელი ხალხისა და მათი ამ მდგომარეობის მიმართ, იქნება ეს ერთეული ინდივიდების, მებრძოლების მხარდაჭერა, რომლებიც უკრაინელ ძმებთან ერთად იბრძვიან, სხვადასხვა ტიპის დემონსტრაციები ქუჩებში, უკრაინელი ლტოლვილების მიღება და ა.შ. ჩვენი მოქალაქეები გამოხატავენ მხარდაჭერას და უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა და მათი სათქმელი არის ის, რომ არ არსებობს მშვიდობა სამართლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე.**

**ახალი გამოწვევები გამოჩნდა ასევე, ევროინტეგრაციის პოლიტიკის მიმართულებითაც, ჩვენ მადლიერნი ვართ ამ პერსპექტივის, რომელიც ჩვენ მოგვცეს უკრაინის ბრძოლის შედეგად და რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ის ხურავს იმ დებატებსა და კამათს, რომელიც მუდმივად გრძელდებოდა გეოგრაფიულ საკითხთან დაკავშირებით, რომ გეოგრაფიამ უნდა გვიკარნახოს ევროკავშირის საზღვრები – ახლა ეს დისკუსია დაიხურა.**

იხ. 6 გვ.

# პრემიერმა ებრაელ ხალხს ხანუქა მიულოცა!

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და ებრაული თემის დაუღალავი გარჯა საერთო სამშობლოს წინსვლისთვის საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

**„ებრაელ თანამოქალაქეებს, ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში დაბრუნებულ ჩვენს თანამოძმეებს, მთელ ებრაელ ხალხს გულითადად გილოცავთ ხანუქას დიდ დღესასწაულს.**

**ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, ებრაული თემის დაუღალავი გარჯა ჩვენი საერთო სამშობლოს წინსვლისათვის საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი, დღევანდელი თაობების პასუხისმგებლობაა, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ძმობა, გავაღრმავოთ საქართველოსა და ისრაელს შორის თანამშრომლობა.**

**მთელი გულით ვიზიარებ თქვენს სადღესასწაულო განწყობას და მშვიდობას, კეთილდღეობას და წინსვლას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს“!**

# თურქეთმა საქართველოს თავდაცვის ძალებს სხვადასხვა სახის ტექნიკა გადასცა

**თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს თავდაცვის ძალებს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა სახის ტექნიკა გადასცა. ღონისძიებას მარნეულში, საავიაციო ბაზაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ გიორგაძე, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე და საქართველოში თურქეთის ელჩი ალი ქაან ორბაი დაესწრნენ.**

ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობამ თურქული მხარისგან 2 ერთეული აეროდრომის სპეცტექნიკა და ბრ-1რ ვერტმფრენების სათადარიგო ნაწილები უსასყიდლოდ მიიღო. მოგვიანებით ტექნიკის გადაცემის ოქმიც გაფორმდა, რომელსაც ხელი ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდალმა, პოლკოვნიკმა სერგო ნინუამ და თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშემ, პოლკოვნიკმა ბურაქ ალთინერმა მოაწერეს.

ტექნიკის გადმოცემა თურქეთის რესპუბლიკასთან ხელმოწერილი სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდა.



# ჯაბა სამუშია სტუდენტებს შეხვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ 27 დეკემბერს დანიშნული თსუ რექტორის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია პირველად თსუ სტუდენტებს მიაწოდა.

**„რისთვის მოვდივარ და რის გაკეთებას ვაპირებ უნივერსიტეტში? 13 წლის ასაკიდან - ნორჩ ისტორიკოსთა სკოლიდან მოყოლებული, დღემდე ჩემი ცხოვრება უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: ვიყავი სტუდენტი, ლაბორანტი, დოცენტი, ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და 10 წელზე მეტია ვარ სრული პროფესორი. შესაბამისად, კარგად ვიცნობ თსუ-ს, მიღწევებსა თუ გამოწვევებს. მჯერა, რომ ერთად შევქმნით ახალ შესაძლებლობებს და ჩვენს უნივერსიტეტს მეტად წარმატებულს გავხდით,“** – ასე მიმართა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს და რექტორად არჩევის შემთხვევაში მისი სამოქმედო გეგმის ძირითადი საკითხები გააცნო.



შეხვედრაზე ჯაბა სამუშიამ ისაუბრა იმაზე, თუ როგორი სურს რომ იყოს უნივერსიტეტი; ყურადღება გაამახვილა თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პროფესორების, გამართული ინფრასტრუქტურის და განახლებული და ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე.

მისი თქმით, მომდევნო სემესტრიდან სასწავლო კორპუსები აღიჭურვება ახალი ტექნოლოგიებით, მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, მოეწყობა უფრო მეტი სტუდენტური სივრცე. ამავე დროს, ყველა პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამედროვე სახელმძღვანელოებით, პროფესურამ და სტუდენტებმა უნდა მიიღონ ახალი ცოდნა, რისთვისაც აქტიურად უნდა ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

**„სწორედ ჩვენ, სტუდენტებს გვამცნო პირველად ჯაბა სამუშიამ, რომ აპირებს რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. გვესაუბრა იმ საკითხებზე, რომელიც რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის პერიოდში გააკეთა. შეხვედრაზე სტუდენტებმა დავსვით კითხვები და მოვისმინეთ, თუ რის გაკეთებას აპირებს ის რექტორად არჩევის შემთხვევაში,“** – განაცხადა თსუ სტუდენტმა ნინუცა ცხაკაიამ. შეხვედრის ბოლოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ უპასუხა სტუდენტების კითხვებს სტუდენტური სივრცეების, ლაბორატორიების, გაცვლითი პროგრამების, საგამოცდო ცენტრის, სახელმძღვანელოებისა და სხვა აქტუალურ თემებზე.

# პუტინი წლის მთავარ ლუზერად იქცა



**პუტინი ელვისებური გამარჯვების მოპოვებას გეგმავდა. მაგრამ ამის ნაცვლად წლის მთავარი ლუზერის, საერთაშორისო მასშტაბით ზურგშექცეულის ტიტულები და რუსეთის, როგორც „ზედერჟავის“ სტატუსის ჩამოშლა მიიღო, – თვლის ატლანტიკური საბჭოს UKRAIN-ALERT სამსახურის ანალიტიკოსი პიტერ დიკინსონი.**

**ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად, პუტინი წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე უარს ამბობს. ყოველწლიური დონისძიების მოულოდნელი გაუქმება მორიგი ნიშანია იმისა, რომ კრემლში ყველაფერი რიგზე არაა.**

**ათივე წლის განმავლობაში დეკემბრის ყოველწლიური პრესკონფერენციები დეტალურად დაგეგმილ პროპაგანდისტულ სპექტაკლებს წარმოადგენდა, რომლის დროსაც დიქტატორი რუსეთის მოქალაქეებსა და მსოფლიოს თავის „ძლევამოსილებასა“ და „კლასს“ უჩვენებდა. თუმცა უკრაინაში განცდილი სამხედრო კრახის შემდეგ პუტინი ყველაზე მორჩილ აუდიტორიასთან შეხვედრასაც კი თავს არიდებს.**

## პუტინი და ზელენსკი

**სანამ დიქტატორი კამერებს ემალება, მისი მოწინააღმდეგე ვოლოდიმირ ზელენსკი მიმდინარე წელს საერთაშორისო აღიარების ტალღაზე ასრულებს. რამდენიმე უმსხვილესმა მსოფლიო გამოცემამ (მათ შორის – ჟურნალმა „TIME“ და გაზეთმა „Financial Times“) უკვე დაასახელა უკრაინის პრეზიდენტი წლის ადამიანად. ამასთან, მას რეგულარულად მოიხსენიებენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად. ზელენსკის მზარდი ავტორიტეტი წარმოადგენს მისი ლიდერობის აღიარებას საომარ პერიოდში და ამასთანავე, ასახავს გლობალურ აღფრთოვანებას უკრაინის მედგარი წინააღმდეგობით რუსეთის აგრესიის მიმართ.**

ეს კონტრასტი კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მთელ სიბრიყვეს პუტინის გადაწყვეტილებისა, ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმსხვილესი შეიარაღებული კონფლიქტი გაეჩაღებინა. მისი საწყისი გეგმა ითვალისწინებდა ელვისებურ გამარჯვებას, რომელიც გაანადგურებდა უკრაინის დამოუკიდებლობას და სამუდამოდ დააბრუნებდა კიევს კრემლის ორბიტაზე. მაგრამ ამის ნაცვლად პუტინი იქცა საერთაშორისო მასშტაბით ზურგშექცეულ პერსონად, რომელმაც რუსეთის, როგორც სამხედრო „ზედერჟავის“ რეპუტაცია გააცამტვერა. მისი უკრაინელი მოწინააღმდეგეები კი მზარდი რწმენით ელიან დამდეგი წლისთვის სრულიად რეალურ ისტორიულ გამარჯვებას.

## პრაქტიკულად ყველა პარამეტრით, პუტინი 2022 წლის მთავარი ლუზერია

**პუტინის არმიამ უკვე წააგო რამდენიმე საკვანძო ბრძოლა, მათ შორის – შეტაკებები კიევისთვის, ხარკოვისა და ხერსონისთვის. ითვლება, რომ 100 000-ზე მეტი რუსი მეომარი იქნა მოკლული ან დაჭრილი, ათასობით ერთეული რუსული ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი კი განადგურდა ან უკრაინელებმა ჩაიგდეს ხელში.**

ამ დანაკარგებმა აიძულა პუტინი, რუსეთში 1945 წლიდან პირველი სამხედრო მობილიზაცია გამოეცხადებინა, – გადაედგა ნაბიჯი, რომელმაც რუსეთში დესტაბილიზაცია მოახდინა და მანამდე დიქტატორის მიმართ ლოიალური შიდა აუდიტორიაც კი ქვეყნიდან გაქცევაზე დააფიქრა.

## სამხედრო დანაშაულების მხილება

**რუსეთის საერთაშორისო იმიჯი საბოლოოდ შეილახა მშვიდობიან უკრაინელთა მიმართ სამხედრო დანაშაულების გამოაშკარავებით. რუს სამხედროებს უკრაინის ტერიტორიაზე გატაცებებში, სექსუალურ ძალადობაში, წამებასა და მასობრივ მკვლელობებში ედებათ ბრალი. მილიონობით უკრაინელი ძალისმიერ დეპორტაციას დაექვემდებარა, არაშერჩევითი საჰაერო იერიშების პოლიტიკამ კი ათობით ათასი ადამიანის დაღუპვა და ათობით უკრაინული დაბისა და სოფლის მიწასთან გასწორება გამოიწვია.**

ბოლო თვეებში რუსეთმა დაიწყო ასევე უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განადგურება აშკარა განზრახვით, მშვიდობიანი მოსახლეობა ყინვაში ელექტროენერგიისა და სითბოს გარეშე დატოვოს. უამრავი საერთაშორისო დამკვირვებლისთვის ეს პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა გენოციდი, მით უფრო, რომ მას კრემლელი ჩინოსნებისა და პროპაგანდისტების დაუფარავად გენოციდური გამოხტომების განუწყვეტელი ნაკადი ერთვის თან.

## ბირთვული შანტაჟის უკუეფექტი

**ბევრი გაოგნებულია ასევე პუტინის მზადყოფნით, ბირთვული იარაღი აჟღარუნოს. რუსმა ლიდერმა ბირთვული მუქარა უკვე არაერთგზის გააჟღერა.**

თუმცა ამ შანტაჟმა მკვეთრი რეაქცია გამოიწვია: აშშ-ის ოფიციალური პირები მოსკოვს “კატასტროფულ პასუხს“ დაჰპირდნენ.

პუტინის შანტაჟით რუსეთისადმი თითქოსდა კეთილგანწყობილი ჩინეთიც კი აღშფოთდა.

## პუტინის რუსეთის იზოლაცია

**ამ ყველაფერმა რუსეთი საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო იზოლირებულად აქცია, ვიდრე ოდესმე ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომი ასწლეულის განმავლობაში. „ჩვენ აღარავის მოვწონვართ, თუმცა არც ვაპირებთ, მოვეწონოთო“. შესაძლოა, მას უპირველესად, დასავლეთი ჰყავდა მხედველობაში, თუმცა ეს კომენტარი ასახავდა უფრო ფართო რეალობას – რუსეთის სულ უფრო არასახარბიელო საერთაშორისო მდგომარეობასაც.**

მოსკოვის იზოლაცია ყველაზე თვალსაჩინო გაეროშია, სადაც წევრი ქვეყნების გადამჭრელი უმეტესობა უკრაინაში შეჭრას გმობს და მხოლოდ ანალოგიურად იზოლირებულთა მცირე ჯგუფი (მაგ., სირია და ჩრდილოეთ კორეა) რჩებიან მზადყოფნაში, რუსეთს დაუჭირონ მხარი.

## რუსეთის მდგომარეობა პოსტსაბჭოთა სივრცეში

**კრემლი შესამჩნევად კარგავს გავლენას მთელს ყოფილ საბჭოთა იმპერიაში. ყაზახეთი ღიად დისტანცირდება რუსეთისგან, იმყარებს რა კავშირებს ჩინეთთან, თურქეთსა და დასავლეთთან.**

აზერბაიჯანი სულ უფრო მეტად იგნორირებს რუსეთის, როგორც რეგიონული მშვიდობისმყოფელის ნომინალურ როლს. სომხეთი კი ამ დროს აღშფოთებას აღარ მალავს მოსკოვის უუნარობით, მისი რაიმე სახის დაცვა მაინც უზრუნველყოს. ბელარუსი დიქტატორი ალექსანდრე ლუკაშენკოც კი, რომლის პოლიტიკური გადარჩენა თითქმის სრულადაა დამოკიდებული კრემლზე, ამ დრომდე ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას რუსეთის ზეწოლისთვის და თავის არიდებას უკრაინასთან ომში პირდაპირი ჩაბმისთვის.

## ვითარება ფართო საერთაშორისო არენაზე

**უფრო ფართო საერთაშორისო არენაზე აშშ-მა უკრაინის დასავლური მხარდაჭერის განმტკიცება შეძლო.**

ამასობაში პუტინის ძალისხმევამ, ენერგომატარებლების ექსპორტი იარაღად ექცია, უკუშედეგი გამოიღო და აიძულა ევროპული ქვეყნები, რუსეთზე დამოკიდებულებაზე მტკიცედ ეთქვათ უარი.

„ბრიქსის“ სახელმწიფოები (ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა) რუსული რესურსების შესყიდვას აგრძელებენ, მაგრამ უკვე საკუთარი პირობებითა და რეკორდული ფასდაკლებებით. ამასთან, მათ უარი განაცხადეს რუსეთის ქმედებების მხარდაჭერასა და მოსკოვისთვის იარაღის მიწოდებაზე.

ამ ყველაფერმა აიძულა კრემლი, ისეთ ქვეყნებში ეძებოს ტანკები, საარტილერიო ჭურვები, უპილოტოები და რაკეტები, როგორიცაა ირანი და ბელარუსი.

## რისი იმედი შეიძლება, გააჩნდეს პუტინს 2023 წელს?

**რუსი დიქტატორი იმედებს, როგორც ჩანს, იმაზე ამყარებს, რომ დასავლელი ლიდერები გადაიღლებიან და აიძულებენ კიევს, გააფორმოს გარკვეული კომპრომისული შეთანხმება, რაც რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, აშკარა მარცხის ვითარებაში ერთგვარი „გამარჯვება“ გაიფორმოს.**

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის მხარდამჭერთა უმეტესობა საჯაროდ აცხადებს, რომ „თავად უკრაინელებმა უნდა გადაწყვიტონ, როდის და რა პირობებით აწარმოონ სამშვიდობო მოლაპარაკებები“, მოვლენათა პუტინისეული სცენარით განვითარება ნაკლებ რეალისტურად გამოიყურება. ბოლოს და ბოლოს, ვერც ერთი უკრაინული მთავრობა ვერ გაწირავს მილიონობით თავის თანამოქალაქეს უვადო რუსული ოკუპაციის კოშმარისთვის.

გაცილებით რეალისტური სცენარია, კარგად აღჭურვილმა, გაწვრთნილმა და მაღალმოტივირებულმა უკრაინელმა სამხედროებმა გააგრძელონ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, რუსეთმა კი ამ დროს სულ უფრო მეტი დანაკარგი იწვნიოს ცუდად გაწვრთნილ და ეკიპირებულ ახალწვეულებში.

ეს პუტინის რეჟიმისთვის კატასტროფის რეცეპტია. უკრაინაში მყოფი რუსული ჯარი უკვე ღრმადაა დემორალიზებული, მისი შემდგომი გამოფიტვა კი ზრდის მასშტაბური სამხედრო კოლაფსის ალბათობას, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვება თავად რუსეთის ფედერაციის მომავლისთვისაც.

## თანამედროვე ეპოქის უდიდესი გეოპოლიტიკური შეცდომა

**პუტინს უყვარს იმის გამეორება, რომ სსრკ-ის დაშლა „უდიდესი გეოპოლიტიკური შეცდომა და ტრაგედია იყო“. მაგრამ 2022 წელი დასასრულს უახლოვდება და უკვე ნათელია, რომ თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს გეოპოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა სწორედ მისი საბედისწერო გადაწყვეტილება, უკრაინაში შეჭრილიყო.**

პუტინის ოცნებამ, ჩამოეშალა 1991 წლის შემდეგ დამყარებული მსოფლიო წესრიგი და აღედგინა რუსეთის იმპერია, რუსი დიქტატორი გლობალური უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ აქცია და პირდაპირ კონფრონტაციაში ჩააყენა მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოების კოალიციასთან, რომელიც, თავის მხრივ, დიდხანს მერყეობდა, სანამ ჩამოყალიბდებოდა ერთიან აზრზე პუტინის მარცხის აუცილებლობის შესახებ.

პუტინი 2023 წელს პრაქტიკულად მოკავშირეების გარეშე ხვდება. დამდეგი წელი, როგორც ჩანს, ყველაზე მძიმე და ბნელი იქნება მთელი მისი 22-წლიანი მმართველობის განმავლობაში და არც ისაა გამორიცხული, უკანასკნელი აღმოჩნდეს.



# წარმატებულ ხელისუფლებას დასავლეთი და ოპოზიცია დაუნდობლად ებრძვიან!







**რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს მოსახლეობამ იხილა უაღრესად მრავლისმთქმელი ვიდეოჩანაწერი საყოველთაოდ ცნობილი არანორმალური სააკაშვილის შიზოიდური გამოხდომებისა და გამაოგნებელი უსაქციელობისა! ამ ზნედაცემულმა უხეში შეურაცხყოფა მიაყენა საავადმყოფოს მომსახურე სამედიცინო პერსონალს, რომელიც თავს ევლება, მასზე ზრუნავს 24 საათის განმავლობაში და თავის პროფესიულ საქმიანობას კეთილსინდისიერად ასრულებს. მერე ესეც არ იკმარა და უდიერად მოექცა ზედამხედველებს, რომლებიც ცდილობდნენ მის დამშვიდებას და დაშოშმინებას.**



ჩემის აზრით, ეს კადრები სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნოს ევროპარლამენტარებს, ევროსტრუქტურებს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომლებიც დაუფიქრებელ და უგუნურ განცხადებებს აკეთებენ, უზოროტეს კრიმინალს პრეზიდენტყოფილ მსჯავრდებულს ექომაგებიან, მხარს უჭერენ და კატეგორიულად მოითხოვენ ურიცხვი უმძიმესი დანაშაულის ჩამდენის, ძალადობრივი რეჟიმის ავტორის სააკაშვილის განთავისუფლებას. მისი აღზევების წლებში პატიმრების რაოდენობით საქართველო იყო მეორე ადგილზე რუსეთის შემდეგ და ყოველ მეორე დღეს პატიმარი იღუპებოდა. გადავსებულ საკნებში 4-სართულიანი საწოლები იყო.

ჩვენს სამართლიან, ობიექტურ მართლმსაჯულებასა და კეთილსინდისიერ ხელისუფლებას კი ცილს სწამებენ და სრულიად დაუმსახურებლად მწვავედ აკრიტიკებენ.

აი, ასეთია მათი სამარცხვინო პოზიცია. 2012 წლიდან თეა წულუკიანის და კახი კახიშვილის დროს, იუსტიციის სამინისტრო იყო ფლაგმანი ადამიანის უფლებების დაცვისა. ცნობილია პენიტენციური სამსახურის პროგრესული რეფორმები.

ბატონი რატი ბრეგაძის – იურისპრუდენციის უმაღლესი და დახვეწილი პროფესიონალის განმარტებებს, პატიმრის უტიფარი ოჯახის წევრები, ნაციონალების ხროვა, რომლებიც რევანშით იმუქრებიან, სცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რაც ნიშნავს პოლიტიკურ პროსტიტუციას. გაიძვერა, თავხედი, არაკომპეტენტური ადვოკატები უტიფრად ხელს აფარებენ, ამართლებენ უზნეო სიმულიანტს.

14.000-ზე მეტი მნახველი, ოჯახის წევრები, ექიმები, ადვოკატები, პარტიული მეგობრები დადიან მის ოროთახიან კომფორტულ VIP-ის ტიპის პალატაში ყოველდღიურად!

**ალბათ, საქართველოს მთელ საპატიმროებში მყოფთ, არ ჰყოლია ამდენი მნახველი!.. რატომ არ რცხვენიათ სააკაშვილის მხარდამჭერებს ასეთ ურცხვ, ყოვლისმკადრებელ, საქართველოს დამაქცევარს და ხალხის მტანჯველ აფერისტს რომ ექომაგებიან. მას ისეთი უმძიმესი დანაშაულებები აქვს ჩადენილი, რომ ახლა რა მუხლებითაც ასამართლებენ, უდიდეს შეცდომად მიმაჩნია, უფრო სწორად, დანაშაულად! – და ეს საკითხი სათანადო სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა სკრუპულოზურად შეისწავლონ და გამოასწორონ, თორემ მომავალში სანანებელი გაგვიხდება, რადგანაც მერე უკვე გვიან იქნება (ვანო მერაბიშვილის მაგალითიც კმარა, ხომ ხედავთ როგორ გააფთრებით გვებრძვის)!!!**

კორუმპირებული ევროპარლამენტარების მხრიდან საქართველოს მმართველი პარტიის სრულიად დაუმსახურებელი კრიტიკა განა არ არის იმის საფუძველი, რომ უარი ვთქვათ ევროკავშირზე და ალბათ ნატოზეც?! ჩვენ კი ვიმსახურებთ ამ სტრუქტურების წევრობას, მაგრამ მრავალი წელია მათ კართან მდგომნი, მათხოვრად გვაქციეს. რატომ არ ვფიქრობთ, თუ რა სიკეთეს მოგვიტანს ისინი. ვშიშობ, უკრაინის ბედი არ გავიზიაროთ... ჩემი აზრით, ზემოდან იყურება და დამოძღვრა გარდაუვალია.

მათი ზემოდან კარნახით, იძულებით, ჩვენთვის სრულიად მიუღებელი, თავხედური მითითებების შესრულება მოგვიწევს, როგორიცაა გეიაღლუმების ჩატარება და მასში აქტიური მონაწილეობა – ფერადი კოლგოტკებით და ცისარტყელას ფერებში შეღებილი „პრიჩოსკებით“, „გოლოვინსკზე“ კუნტრუშით სეირნობა, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება (მელია რომ ხაზეიშვილზე ან ხოშტარია რომ სამადაშვილზე იქორწინებენ, კირკიტაძეს და გოცირიძეს მაყრებად რომ მიიწვევენ, მშვენიერი სანახავი იქნება)...

როგორც საშინაო ისე საგარეო საქმეებში ჩვენი პოზიციის გაუთვალისწინებლად უხეში ჩარევა, სქესის შეცვლის დაუმთავრებელი პროპაგანდა, ვერც აფხაზეთს და ვერც სამაჩაბლოს ვერ მოაქცევს და არც მოინდომებს, რომ მოაქციოს ჩვენს იურისდიქციაში, გაგვიფუჭებს ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობას.

რასაც მოსკოვი არ და ვერ გვიბედავდა, ბრიუსელი ყველაფერს უტიფრად გვაიძულებს შევასრულოთ! ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ მათი მოთხოვნები, არ და ვერ იქნება ჩვენი ეკონომიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და სხვა წამყვანი დარგების განვითარებაზე, ქვეყნის წინსვლაზე ორიენტირებული! ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი ოლიმპიური სიმშვიდით აღიქვამს ევროპარლამენტის წევრების თავხედურ გამოხდომებს, სხვა ევროსტრუქტურების და ამერიკელი თუ ევროპელი დიპლომატების (კელი დეგნანის, იან კელის, კრამერის, კუბილიუსის და სხვების) შეურაცხმყოფელ და ჩვენდამი აგრესიულ პოლიტიკას.

* * *

**დროა, ქართველო ხალხო, ჩვენი შორსმჭვრეტელი, წარმატებული ხელისუფლების რჩევები ვირწმუნოთ და ქვეყანა განვავითაროთ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ჰააგის ავტორიტეტული საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება და მის ფონზე, რადიკალური ოპოზიციის უგვანო საქციელი.**



**ვგონებ, ყველასთვის ყველაფერი ნათელია, რა გზით უნდა განვითარდეს ქვეყანა!..**

**ომარ მარგველაშვილი**

---

ცირკი ბითუმად

# უხსენებელიც გაგიჟებულა...

**თურმე სიცხეს ვერ უწევენ, თურმე წნევას ვერ ურეგულირებენ, თურმე უმადობას უჩივის...**

**მოკლედ – თურმე, თურმე და თურმე დაუსრულებლად.**

წელიწადზე მეტი ხომ გავიდა, რაც ჟონგლიორობს და აპამპულავებს როგორც შინაურ, ისე უცხოელ საზოგადოებას, გეგონება, გაგანია ომის დროს მეტი საზრუნავი არ ჰქონდეს კაცობრიობას.

მის მომხრეთა ადგილობრივი სექტისა თუ დასავლელ პოლიტიკოს-ადვოკატთა, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ უანგარო თავხედობა იქამდე მივიდა, რომ უკვე ულტიმატუმებით ცდილობენ ქაჯეთის ციხიდან თანამედროვე ნესტან-დარეჯანის დახსნას და ღიად მოუწოდებენ ქართულ პენიტენციურ სისტემასა და სასამართლოს – კანონი დაარღვიეთ და პუტინის პირადი ტყვე ან სამკურნალოდ გაუშვით მესამე ქვეყანაში, ანაც საერთოდ გაანთავისუფლეთ დამსახურებული სასჯელის მოხდისგანო.

და განა მარტო მათ? – განსაკუთრებული შტურმი პრეზიდენტ ზურაბიშვილზე მიაქვთ – გინდა თუ არა, გამოიყენე დისკრეციული უფლება და კრიმინალი კოლეგა შეიწყალეო. მოიერიშენი ქალბატონი სალომეს ფსიქოლოგიურ სიმტკიცესაც ცდიან – მართალია, კარგად იციან მისი პრინციპულობა და ჯიუტი ხასიათი, რაც არაერთხელ გამოიხატა პირად შეუვალ პოზიციაში – არა და არასოდესო, მაგრამ ცდას მაინც არ აკლებენ – იქნებ გავტეხოთ და მოლბესო. ბუნებრივია, სანუკვარი კანდიდატის სტატუსითაც ევაჭრებიან.

თან, დაუკვირდით მომენტს, რომელიც ვაი-უშველებლის ასატეხად აქვთ შერჩეული: იმ საბაბით, თითქოს მომაკვდავი ტუსაღის წუთები დათვლილია და ყოველი დაკარგული დღე უკვე თოთხმეტი თვეა ტრაგიკულ აღსასრულთან გვაახლოვებსო, გენერალურ ხაზს იშვიათი შეუპოვრობით მიჰყვებიან და მიზნის მისაღწევად ორი თარიღი აქვთ ორიენტირად მონიშნული: 21 დეკემბერი, როცა კლინიკა ვივამედის კომფორტულ პალატაში კლოუნად წამოკოტრიალებულ ფიურერს 55 წელი უსრულდება (ბედი არ გინდა, რაღა ამჯერად დაემთხვა მისი იუბილე ნაცმოძრაობის საარჩევნო ნომერს, კვადრატში აყვანილს) და უფრო მეტად კი საშობაო არდადეგები, როცა მთელი დასავლური პოლიტიკური სპექტრი განცხრომას მიეცემა ამერიკელ კონგრესმენ-სენატორ-ელჩებიანად და კორუმპირებულ ევროპარლამენტარებიანად, ეს კი სულ მცირე შუა იანვრამდე რადარებიდან ფსევდომარტვილობაში მყოფი უკრაინელი მოქალაქისა და მაღალჩინოსნის გაქრობას ნიშნავს.

თუმცა, რაღა საზღვარგარეთზე ვამახვილებთ ყურადღებას – შინ ულხინს მაოხრებელი გზირის მშობლიურ პარტიას თუ, მიხრწნილების პროცესში მყოფი, მარტივ მამრავლებად არ არის დაშლილი? დიახ, ბავშვიც კი ხვდება, რომ მელია-ხაზეიშვილ-მუმლაძე-მამულაშვილის ხილული დაჯგუფებების გარდა კეზერაშვილის მაყუთზე კიდევ ბევრ მადააღძრულ მედროვეს უჭირავს თვალი.

რაც შეეხება დედიკოს ბიჭისადმი აშკარა სიმპათიით გამსჭვალული ცენტრის ემპათიის თავქალ ჯიშკარიანსა და მის მიერ შექმნილ კონსილიუმს, მის წევრთა ტენდენციურობის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რატომ ელახება თანდათან ავტორიტეტი თეთრხალათიანთა უზარმაზარი არმიის, ჯერჯერობით, საბედნიეროდ, მცირე ნაწილს. მეტიც – მათ ფონზე ხელისუფლების ძალისხმევით ოს სეპარატისტთა ტყვეობიდან დახსნილი უმადური ვაჟა ექიმი უცოდველ კრავად გამოიყურება და ეს ოკეანისგაღმელ ექსპერტებსაც ეხება, უხსენებლის გავლენიან და სავსეჯიბიან მფარველთა შეკვეთით ისეთ დასკვნებს რომ აშანშალებენ, ქვას რომ გახეთქავს.

და ბოლოს: სულგაყიდული და ყოველივე ქრისტიანულისგან დაცლილი არასამთავრობო სექტორი, რომელიც მას შემდეგ დაობლდა, რაც მის უსტაბაშს ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველობის ვადა ამოეწურა.

იმედი ვიქონიოთ, რომ მისი მომავალი შემცვლელი ადამიანის უფლებათა დამცველი იქნება და არა წინამორბედივით უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სტრუქტურის ნიღაბჩამოხსნილი ანტისახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი.

**გია პლატონიშვილი**



ნორა კვიციანი

# ამორძალი დალის ხეობიდან...

## ქალი, რომელსაც ღირსება არც ციხეში დაუკარგავს და არც ციხის გარეთ

**...ირინა ენუქიძის, სულხან მოლაშვილის, იური ვაზაგაშვილის და სხვათა შემდეგ სააკაშვილის რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი ნორა კვიციანი აღესრულა და სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებს ერთი უპასუხო კითხვა დაუტოვა – რას მეტყვის სინდისი, ჩემს გზაზე მდგომი მრისხანე აჩრდილი?!**

**საკუთარი ცხოვრებით ნორა კვიციანმა თავადვე გაიკვლია გზა ტაძრისკენ. სიცოცხლის მიწურულს მონაზვნად აღკვეცილი და დედა ქეთევანად სახელდებული კოდორის ხეობის დაბრუნებას ავედრებდა უფალს, იმ ხეობის, რომელიც „ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ უბრძოლველად ჩააბარა რუსებს. სააკაშვილის ჯურღმულებიდან გამოსულ ნორა კვიციანს ისევე, როგორც პოლიტპატიმართა უმეტესობას, ხშირად ნახავდით ეკლესიაში. მისმა მოძღვარმა დედა ქეთევანი ტყუილად არ უწოდა, იცოდა რა მის მიერ განვლილი მძიმე ცხოვრება, მას საეკლესიო სახელად წმინდა მოწამის – ქეთევან დედოფლის სახელი შეურჩია.**

რამდენიმე წლის წინ **მეუფე იობმა** ციხიდან გამოსულ ნორა კვიციანს დედათა მონასტრის წინამძღოლობა შესთავაზა, მაგრამ მაშინ ნორა კვიციანი მზად არ იყო მონაზვნობისთვის. შემდეგ იყო ავარია, ჯერ კიდევ ციხიდან გამოყოლილი დაავადება ფილტვის სიმსივნე გაუმძაფრდა და საბოლოოდ ფერისცვალების დღეს მონაზვნად აღიკვეცა.

ნორა კვიციანთან ბევრჯერ გვისაუბრია. ის არ იყო სტატიკური მოსაუბრე, ყოველთვის ემოციით ლაპარაკობდა, განსაკუთრებით, თუ საქმე კოდორის ხეობას ეხებოდა, რომელსაც დალის ხეობად მოიხსენიებდა და აპროტესტებდა, რომ სააკაშვილმა ამ ხეობას განგებ უწოდა ზემო აფხაზეთი, რათა მტრისთვის მისი ჩაბარება შეემზადებინა. ჟურნალისტებს არ უკვირთ უმადური რესპონდენტები, რომლებიც საკუთარ არასწორ ნათქვამს მათ გადააბრალებენ და სტატიას მოგვიანებით შეალამაზებენ ხოლმე, ნორა კვიციანი კი ის იშვიათი რესპონდენტი იყო, რომელიც თავის ემოციას ბოლომდე გადმოსცემდა, ნათქვამს არ შეალამაზებდა და სტატიის დაბეჭდვის შემდეგ გირეკავდა მადლიერების გამოსახატად. ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუს დროსაც დარეკა და სვანების სახელით მადლობა გადაგვიხადა, ჩემს ნათქვამს ამახინჯებენ ხოლმე და თქვენ სიზუსტით ჩაწვდით, რისი თქმაც მინდოდაო.

სათქმელი კი ბევრი ჰქონდა, რასაც, როგორც აღმოჩნდა, საკუთარ დღიურებსაც ანდობდა. ნორა კვიციანი 21-ე საუკუნეში იყო შუასაუკუნეობრივი მძევალი, რადგან ემზარ კვიციანს ვერ მისწვდნენ და ვერც ნორა კვიციანის ვაჟი ჩაიგდეს ხელში და შური იძიეს მასზე, როგორც დასა და დედაზე.

**მისი ოჯახის ტრაგედია იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთმა პილოტმა პირადად ოქრუაშვილისა და სააკაშვილისგან მიიღო ბრძანება კოდორის ხეობის სოფლის დაბომბვის შესახებ. პილოტს მოტყუებით უთხრეს, ხეობა დაცლილია, იქ აღარავინ დარჩა, მარტო კრიმინალები არიან და ყველა გადაბუგეო. თუმცა მოულოდნელად პილოტმა ეზოში მოთამაშე ბავშვები და ქალები შენიშნა და იყვირა, რატომ მღუპავთო. ნორა კვიციანი ამბობდა, რომ სწორედ ამ პილოტებმა შეუნარჩუნეს სიცოცხლე მაშინ, როცა ბრძანება იყო გაცემული, ქვა ქვაზე არ დატოვოთო. სამაგიეროდ, პილოტები სააკაშვილის რეჟიმმა ციხეში გაისტუმრა.**

ნორა კვიციანი ჩხალთიდან არასდროს წამოსულა. ოჯახში რვა და-ძმანი იყვნენ და მოგვიანებითაც, როცა ოჯახი შექმნა, შეუვალი ხასიათის გამო მეუღლე ეტყოდა ხოლმე, შენ ტყვიის წერა გახდებიო. თავად მისი მეუღლე ვაჟკაცური ბუნების, მონადირე, კლდის კაცი ყოფილა. ნორა კვიციანს სჯეროდა, რომ მისი მეუღლე არ დათმობდა კოდორის ხეობას, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

ციხეში ყოფნისას მძიმედ ახსენდებოდა ტყეში საკუთარ შვილთან – ბაჩოსთან განშორება. კოდორის ხეობის დაბომბვის დროს დედა-შვილმა ტყეს შეაფარა თავი, ნორა კვიციანი ველარ მირბოდა და შვილს გაქცევა სთხოვა, ესენი შენ გეძებენ და მოგდევენ, მე ხელს გიშლი, დამტოვეო. შვილმა ხელში აიყვანა, აქ არ დაგტოვებო, მაგრამ ნორა კვიციანმა თავისი გაიტანა და შვილი გაუშვა, რომ ის მაინც გადარჩენილიყო. შვილის გაქცევის შემდეგ არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა ბაჩო. ნორა კვიციანს სამოსში ღვთისმშობლის ხატი ჰქონდა, ირგვლივ კი ყველაფერი იბომბებოდა, სოფლიდან კივილი ისმოდა, თურმე რუსები კი არა, საქართველოს ხელისუფლება ბომბავდა გმირ ხეობას და ამ ფორმით



ცდილობდა კოდორის დამცველი ბატალიონის – „მონადირის“ დასჯას...

შემდეგ იყო მოტყუებით მისი წაყვანა კოდორიდან, დაკითხვა იარაღის თაობაზე, რაზეც გამომძიებელს ლოგიკური პასუხი გასცა, ბარითა და თოხით როდი ვიცავდით ხეობას 14 წლის განმავლობაშიო. „ემზარ კვიციანს სახელმწიფო გადატრიალება დააბრალეს, რანაირად უნდა გადაეტრიალებინა 12 „პერევალის“ იქით? „მალადეც“, ჩემი ძმა, ეს რა ძლიერი ყოფილა, თურმე 12 „პერევალის“ იქიდან თბილისს ატრიალებდა“.

ეს მაშინ, როცა სოხუმი დაეცა, ემზარმა გვირაბები გადაკეტა, რომ აქეთ არ წამოსულიყვნენ ტანკები და მშვიდობიანად გადმოსულიყო ყველა ლტოლვილი. შემდეგ ემზარმა ფიცი დადო, ამ ხეობას არ დავტოვებო და სიტყვა შეასრულა. ნორა კვიციანი კი აფხაზეთიდან გამოქცეულ დევნილებს თავშესაფრითა და საკვებით უზრუნველყოფდა.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს არ უთმობდნენ კოდორის ხეობას, ემზარ კვიციანს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აფხაზებში. ჩვენთან საუბრისას ნორა კვიციანი იხსენებდა, რომ აფხაზები არც მალავდნენ, „ჩვენ ის ქართველები გვიყვარს, ის ვაჟკაცები, თავიანთ მიწას და ერს რომ არ ღალატობენ. თქვენ ხართ ის უღალატო ხალხი, რომლებმაც თქვენი მიწა დაიცავით, მერე რა, რომ წინააღმდეგობა გაგვიწიეთ, უნდა გაგეწიათ კიდეც წინააღმდეგობაო“. თავად ნორა კვიციანი ათი დღე იმყოფებოდა სოხუმში თავის ვაჟთან და სითბო და პატივისცემა მიიღო აფხაზებისგან. აფხაზმა პარლამენტარებმაც მოინახულეს ნორა კვიციანი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ არ უნდოდა სააკაშვილის ხელისუფლებას შერიგება, თორემ ახლა აფხაზებთან შერიგებულნი ვიქნებოდით.

იმ სვანების მიმართაც არ დაიტოვა წყენა, ვინც სასამართლოში მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. ყველას შევუნდე და ჩავეხუტეო, – ამბობდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს იყო ცდუნება ბოროტი ძალისგან, ეს ყველაფერი ძალით და შიშით იყო განპირობებული. როცა დააკავეს, იმ მძიმე წუთებში საკუთარი თავისთვის უთქვამს, ოღონდ ჩემი ლოცვები მიიღოს უფალმა, არავის დავემდურები, რადგან უფალს უყვარს მიტევება, შენდობა.

ერთადერთი, ვისი შენდობაც უჭირდა, სააკაშვილი იყო. უკვირდა, რატომ არ იქცეოდა ნაპრეზიდენტალი ღირსეულად, რატომ ათრევინა ბადრაგს ციხეში თავი?! „კაცები არიან? ქართველი ქალი უფრო უძლებს ყველაფერს, ვიდრე ესენი. ეგენი კარგ ცხოვრებაში არიან კაცები, როცა აქვთ ძალაუფლება, თორემ რომ გაუჭირდებათ, მარტო უფალი არ აპატიებს და არ მისცემს სულიერ სიძლიერეს, რომ ამ განსაცდელს გაუძლონ. ნაპრეზიდენტალი ადამიანი თუნდაც დახვრეტაზე ყოფილიყო, მაინც ღირსეულად უნდა წასულიყო“. არც ექსპრეზიდენტის მიერ წამოწყებული შიმშილობა მოსწონდა. იხსენებდა, რომ მასაც ურჩევდნენ პატიმრობის დროს შიმშილობის დაწყებას, რომ მდგომარეობა შემსუბუქებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტპატიმრის საერთაშორისო აღიარება ჰქონდა, მაინც არ დაიწყო შიმშილობა, რადგან ეკლესიური ადამიანისთვის შიმშილობა დიდი ცოდვაა, ეს თვითმკვლელობაა.

**„მე არ ვიცი, რა სადისტთან, მანიაკთან გვქონდა საქმე სააკაშვილის სახით?! პატიმრები პირს იკერავდნენ, მაგრამ არანაირი რეაქცია არ ყოფილა. ფსიქოლოგიური ტრავმა მიმაღებინეს, სასამართლოზე გამიყვანეს ეტაპით, ნილზებით, თითქოს ტერორისტი ვიყავი, შვილებისკენ რომ გამეხედა, იმის უფლებაც არ მქონდა. სასამართლოში რომ მიმიყვანეს, ჩამიყვანეს „პადვალში“, ჩააქრეს შუქი, ეს წამებში მოხდა, მაგრამ ამ წამებში მე გავნადგურდი. 12 წლის ბავშვები იყვნენ მაშინდელ ციხეში და მიკვირს ჩვენი ხალხის ამბავი, დღეს რომ სააკაშვილს ექომაგებიან. მაგან თავისი პრეზიდენტობა გამოიყენა ბოროტებისთვის, ხალხის განადგურებისთვის“.**

**ღვთის განსაკუთრებულ მადლად მიაჩნდა ის ფაქტი, პატრიარქი რომ ესტუმრა საკანში. უწმინდესის წაბრძანების შემდეგ კი საჩუქრებიც მიიღო – ქურთუკი, კაშნე, მამაკაცის სვიტერი, საბანი, წმინდა გიორგის მედალიონი. ნორა კვიციანმა იფიქრა, ეს საჩუქრები შეცდომით შეუგზავნეს მას, რადგან მამაკაცის ტანსაცმელი რად უნდოდა?! თუმცა მეორე დღეს ერთ- ერთ მამაოს შეახვედრეს, რომელმაც აცნობა, რომ პატრიარქმა მას საკუთარი ნივთები უსახსოვრა, ქურთუკი, რომელიც უწმინდესს ამდენი წელი ეცვა, საბანი, რომელიც პატრიარქს ეხურა, კაშნე, სვიტერი, ყველაფერი უწმინდესის ყოფილა. მამაომ ისიც უთხრა, რომ პატრიარქს იგი ძალიან უყვარდა, მისთვის ყოველდღე პარაკლისს კითხულობდა და, როცა ნორა კვიციანმა გაიკვირვა, რით დაიმსახურა ასეთი სიყვარული პატრიარქის მხრიდან, მამაომ განუმარტა, უწმინდესი 50 წელი ემსახურება უფალს, ის ყველაფერს ხედავს, შენს ირგვლივ ყველაფერი ნახა, შენი სიმართლე ნახაო.**

ნორა კვიციანმა არც ის დაგვიმალა, რომ პირველად მასაც გაუჭირდა ციხეში ყოფნა, ისეთი ნერვული შეტევები ჰქონდა, ძილი არ ეკარებოდა და ფსიქოტროპულ წამლებს იღებდა, 20 კილოც დაიკლო, მაგრამ ეკლესიურად ცხოვრებამ გადაარჩინა. საკანში პატარა სამლოცველოც მოაწყო, სადაც ლოცულობდა. თუმცა მანამდე, სანამ დააპატიმრებდნენ, საკუთარი რწმენა ჰქონდა, რომელიც სიკეთესა და სამართალზე იყო აგებული.

შეწყალებასთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეუტანეს განცხადება, მაგრამ არ მოაწერა ხელი, რადგან თვლიდა, რომ შესაწყალებლები თავად „ნაციონალები“ იყვნენ. არც პატრიარქი ჩარია ამ საქმეში და უსამართლო სასჯელი 6 წლისა და 4 თვის განმავლობაში ღვთის ნებად მიიღო.

**შეგახსენებთ, ნორა კვიციანი კოდორის ხეობის მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის ტაძრის ეზოში დაკრძალეს.**

**მანანა ნოზაძე**



## სალომე ზურაბიშვილი:

# ომი უკრაინაში საქართველოსთვის გამოწვევაა, რადგან ის ხსნის ჩვენს იარებსა და ჭრილობებს და იმ შიშს, რომელიც რუსეთის ყველა მეზობელ მცირე სახელმწიფოს აქვს!

(მეორე გვერდიდან)

ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება, რომ გადავდგათ ნაბიჯი ამ ახალ პროექტებთან დაკავშირებით. დღეს ხელი მოეწერა მწვანე ენერგიის გადაცემის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტს, რომელიც აჩვენებს ევროპასთან კავშირის მნიშვნელობას.

კანდიდატის სტატუსის არმიღებასთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში, რა თქმა უნდა, იყო იმედგაცრუება. მოსახლეობაში, რომელიც არასოდეს ყოყმანობდა და რომელსაც არასოდეს გადაუხვევია ევროპისკენ მიმავალი გზიდან. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ამ 12 რეკომენდაციის შესრულება განსაზღვრავს მომდევნო გადაწყვეტილებას და ძალიან ცხადია, რა სურს საქართველოს მოსახლეობას მისი სახელმწიფო უწყებებისა და მისი პოლიტიკური ლიდერებისგან, რას ელოდება ელიტისგან. ცხადია, ჩვენ მათ უნდა მოვუსმინოთ და მოვისმინოთ მათი მოლოდინები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებებთან და პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობის მიღმა, არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორები ხედავენ და აღიარებენ საქართველოს პოლიტიკურ ნებას. თქვენ (პარტნიორებო) არ უნდა დაივიწყოთ და გთხოვთ, რომ მუდმივად გახსოვდეთ ქართველების ნება და სურვილი.

უკრაინაში მიმდინარე ომის გარდა, კიდევ ერთი გამოწვევა, რომლის წინაშეც საქართველო დგას და რომელიც გვაჩვენებს, რომ რუსეთი მუდმივად ცდილობს თავისი ნება-სურვილი თავის მეზობლებს მოახვიოს თავს, გამოწვევა რომელიც პირდაპირ კავშირშია რუსეთთან არის შემდეგი: ზოგიერთი ადამიანი შეიძლება ფიქრობდეს, რომ ამას დამატებითი ანალიზი სჭირდება, ზოგიერთი ჯგუფი შეიძლება ფიქრობდეს, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორების გაკრიტიკება უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ოკუპანტის. ეს მთავარ გამოწვევად რჩება და დარჩება, სანამ საქართველოს ტერიტორიები რუსეთის ძალების მიერაა ოკუპირებული.

ჩვენი მოქალაქეები ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს ცხოვრობენ. აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეებს ენასთან და იდენტობასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან უწევთ ცხოვრება, ისინი არიან მობილიზაციის მსხვერპლნი, მათ უწევთ ასევე, მუქარის ატანა, მათ აწვდიან ინფორმაციას, რომ საქართველომ შეიძლება სათავისოდ გამოიყენოს ეს სიტუაცია და რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და ეს არ ხდება ასე, ტერიტორიების უკან მიტაცებით. ეს სხვა ადამიანების მიდგომაა.

ასევე, კიდევ ერთი გამოწვევა რუსეთიდან მასიური მიგრაციაა. ეს გამოწვევა, გარკვეულწილად, შესაძლებლობაა, რადგან კიდევ ერთხელ გვაჩვენებს რას ნიშნავს ქართული ტოლერანტობა, ქართული სტუმართმოყვარეობა, მაგრამ სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს სულელური და ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს ჩვენი მოვალეობა საკუთარი მოსახლეობის მიმართ, რომ სრულად გავაკონტროლოთ ის, რაც ხდება. კი ბატონო, გვქონდეს გახსნილი საზღვრები, განსაკუთრებით წარმოშობით ქართველებისათვის, მაგრამ ამავდროულად, უნდა გავიაზროთ, რომ გვქონდეს სწორი კანონმდებლობა და შესაბამისი რეგულაციები იმისათვის, რომ მომავალში თავიდან ავირიდოთ არასასურველი განზრახვები.

ასევე, ძალიან დიდი გამოწვევებია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი ევროპისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის. რა თქმა უნდა, მოვა მოლაპარაკებების დრო. ეს მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელი ხალხის ხელშია და როდესაც ეს დრო მოვა, თუ გვსურს, რომ თავი ავარიდოთ 1992, 2008, 2014, 2022 წლების სცენარებისა და ბევრი სხვა აგრესიის გამეორებას, რომლებიც რუსეთის მხრიდან ჩვენი მეზობლების მიმართ ხდებოდა, ცხადი უნდა იყოს, რომ ოკუპაცია ევროპის კონტინენტზე არ არის მისაღები და ვისაც მართლა სურს რეალური მშვიდობა და მოლაპარაკებები, პირველ რიგში, უნდა აღიაროს ეს და შემდგომ ვისაუბროთ ამ საკითხებზე.

დაბოლოს, საქართველოს წინაშე არსებულ ასეთ ძალიან დიდ გამოწვევებთან ერთად, რომლებმაც შესაძლოა, განსაზღვროს ჩვენი ერის მომავალი, ჩვენი შიდა გამოწვევები რაღაცნაირად აბსურდული, არარელევანტური და ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანს, რადგან ჩვენი მოსახლეობის მისწრაფებები ცხადია: მათ სურთ დაასრულონ პოლარიზაცია, მათ სურთ დაინახონ ახალი ძალები საქართველოს მომავლისთვის, ახალი ფიგურები, ახალი პერსპექტივები და ამ ეტაპზე, ეს არ გახლავთ პოლიტიკური ძალების ნება იქნება ეს უმრავლესობა, თუ ოპოზიცია. ისინი ჯერ კიდევ ებღაუჭებიან თავიანთ ძალაუფლებას და პარტიულ მისწრაფებებს.

და ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ამ პოლარიზაციას უწყობს ხელს, ყოფილ პრეზიდენტთან დაკავშირებული საკითხია. მე ვთქვი და გავიმეორებ, რომ ამ ქვეყნისა და მისი რეპუტაციისათვის, მისი შიდა სტაბილურობისა და მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარემ დაასრულოს სპეკულაცია და დაველოდოთ 22 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომელიც დარწმუნებული ვარ (და მინდა ვიყო დარწმუნებული) საქართველოს მოსახლეობას საშუალებას მისცემს ამ სიტუაციიდან გამოვიდეს და ყველა თავის მოვალეობაზე, ქვეყნის მართვაზე, პრობლემების გადაწყვეტასა და ქვეყნის სტაბილურ გზაზე დაყენებაზე იყოს კონცენტრირებული, იყოს კონცენტრირებული ევროპისკენ, მშვიდობისა და კეთილდღეობისკენ და ესაა სწორედ ის, რასაც ვუსურვებ ქვეყანას 2023 წელს და მინდა, გისურვოთ ყველას, თქვენ, თქვენ ოჯახებსა და მთლიანად მსოფლიოს.

17 დეკემბერი, 2022

# რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დავითგარეჯას „სიმაღლეებს“ აზერბაიჯანისთვის?!

**თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ბრალდებულების, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას სასამართლო პროცესი გრძელდება.**

დავითგარეჯას საქმეზე დასაკითხ პირთა სიაში ბრალდების მხარეს საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და არქიმანდრიტი კირიონ ონიანი ჰყავს. თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია როდის მისცემენ ჩვენებას საქმის მთავარი ფიგურანტები.

დავითგარეჯას საქმის პროკურორის **მიხეილ სადრაძის** განცხადებით, პროკურატურის მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო, რასაც, ვინც საქმის დეტალები იცის, მარტივად მიხვდება. მისი თქმით, ამ მოწმემ დაადასტურა შემდეგი, რომ 1996 წელს ალბომი, რომელიც შედგა და სხვადასხვა ნორმატიულ მასალაზე იყო დამყარებული, მაქსიმალურად იყო გამოყენებული ის ინფორმაცია, რაც საქართველოს ინტერესების სასარგებლო იყო.

**„შეგახსენებთ, რომ გარკვეულ მონაკვეთებზე, მათ შორის ჩიჩხიტურის მიმდებარედ, 2006 წელს, ბრალდებულები 1996 წელს შედგენილი დოკუმენტის წინააღმდეგ წავიდნენ და აბსოლუტურად სხვანაირად გაავლეს იქ საზღვარი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც მოწმემ ისაუბრა და რაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ყურადღების მიღმა დარჩა დაცვის მხარეს, არის ის, რომ ის რუკები, რაზეც დაცვის მხარე აპელირებს, თითქოსდა ყველაზე მნიშვნელოვანი არის, მოწმემ დაადასტურა, რომ ამ რუკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებდნენ 1996 წელს, როდესაც ეს იყო საქართველოს სასარგებლო ტერიტორიულ ნაწილშიც და მით უმეტეს ისტორიულ ნაწილში და ა.შ. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო ამ მოწმის ჩვენება, რომელიც ძალიან ბევრ დეტალზე ამახვილებდა ყურადღებას“,** – აღნიშნა **მიხეილ სადრაძემ.**

მიუხედავად იმისა, რომ საქმის გამოძიება ახლა სასამართლოში გრძელდება, უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე, ირაკლი შოთაძის უწყებას ამ დრომდე არ დაუკითხავს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**.

**ახალი კარტოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ 2006-2007 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სახელმწიფო სასაზღვრო ხაზის გამყოფად აღებული ტერიტორიები სრულ ცდომილებაშია ობიექტურ რეალობასთან. სწორედ ამ წლებში მოხდა მთლიანად საზღვრის გამრუდება.**

* * *

ანალიტიკოს **სოსო მანჯავიძის** განცხადებით, დავითგარეჯას საქმე პოლიტიკურად მგრძნობიარეა და შესაბამისად, ამ საკითხის აქტუალიზაცია პოლიტიკური თემაა და სავარაუდოდ, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ახალი გაღიზიანებისა და გამწვავების პუნქტი გამორიცხოს აზერბაიჯანთან, მოელაპარაკოს რაღაცა კომპრომისებით და არასაჯარო მოლაპარაკების გზით მიაღწიოს თავისთვის მისაღებ შედეგს.

**„ვფიქრობ, ხელისუფლება ერიდება ამ საკითხის იმგვარად აქტუალიზაციას, რომ სააკაშვილს წაუყენონ ბრალი და ამან საზოგადოებრივი აზრის ხელახალი აღშფოთება გამოიწვიოს. ამ თვალსაზრისით, ეს ხდება პროკურატურის სიზარმაცის გამო. რა თქმა უნდა, პროკურატურას ყველაფერი აქვს და ჩვენც ყველაფერი გვახსოვს. ვიცით სააკაშვილის აბსოლუტურად წარმოუდგენელი და არასახელმწიფოებრივი განცხადება, რომ მან ეს სიმაღლეები იმიტომ დაუთმო აზერბაიჯანს, რომ ამას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის.**

**რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ სიმაღლეებს აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის, თუ დაპირისპირება არ მოხდა საქართველოსთან, რადგან სხვა სახელმწიფოს ეს სიმაღლეები არ ესაზღვრება. რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯანთან დაპირისპირება არ იქნება, მაგრამ ეს განცხადება ხომ არსებობს. ცხადია, ეს ყველაფერი დევს პროკურატურაში თავისი მტკიცებულებით, მაგრამ მისი აქტუალიზაცია არ ხდება“...**

ექსპერტი კავკასიის საკითხებში, **მამუკა არეშიძის** განცხადებით, ის, რომ სააკაშვილი უნდა ყოფილიყო ამ საქმეში ჩართული, ამას ლოგიკა გვკარნახობს.

**„ასეთი დაბალი დონის ჩინოვნიკები, როგორიც არიან მელაშვილი და ილიჩოვა, თავისი ნებით ვერ მიიღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებას, უნდა ყოფილიყვნენ ზემდგომები. ვერც მინისტრის მოადგილე და ვერც მარტო მინისტრი მიიღებდა ამგვარ გადაწყვეტილებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო სააკაშვილის თანხმობით და პირდაპირი მითითებით. აქიდან გამომდინარე, მესმოდა, რომ სააკაშვილის ამ საქმეში არჩართვა იმიტომ ხდებოდა, რომ უფრო და უფრო მეტი დეტალი გამოკვეთილიყო, უნდა ყოფილიყო პირდაპირი მტკიცებულებები. სააკაშვილის მდგომარეობის დელიკატურობიდან და იმ აჟიოტაჟიდან გამომდინარე, რომელიც ამ ფიგურის გარეშეა ახლა, ახალი ბრალეულობის მისთვის წაყენება, რომელსაც არ ექნებოდა სერიოზული არგუმენტაცია, არ იქნებოდა სწორი, მე ასე მგონია“,** – აცხადებს **მამუკა არეშიძე.**

როგორც არეშიძე აცხადებს, იმ ჩანაწერიდან გამომდინარე, რომელიც ჯონდი ბაღათურიამ გამოაქვეყნა, როცა დადგინდება მისი ავთენტურობა, მათ შორის ის, რამდენად კანონიერად არის მოპოვებული, უნდა გამოიკვეთოს საქართველოს ხელისუფლების და იმ პერიოდში კონკრეტული ჩინოვნიკების დანაშაული.

**„ვგულისხმობ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნა 2006 წელს და, რომლის შედეგსაც დღეს ვიმკით. ამის მერე შეიძლება სააკაშვილსაც დაუსვან კითხვები. თქვენს მიერ ჩამოთვლილი ადამიანები არიან სხვა ტიპის მოწმეები, კერძოდ, ამ საქმესთან ურთიერთობის მქონე ადამიანები.**

**სალომე ზურაბიშვილი სასამართლოზე მიწვეულია როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი. მართალია, იმ პერიოდში რომელზეც მაქვს ლაპარაკი, მინისტრი გელა ბეჟუაშვილი იყო, მაგრამ მანადე იყო ზურაბიშვილი, რომელმაც იცის, როგორ მიდიოდა კომისიის მუშაობა. სხვებიც ანალოგიურად, ირიბი მოწმეები არიან. უშუალოდ საქმეში ჩართულ მაღალჩინოსანს, რომელიც შეიძლება იყოს მოწმე, ჯერჯერობით ვერ ვხედავ“...**

**თამთა ქარჩავა**





# „სამყარო, სამყაროს მიღმა“

## ტარიელ ხარხელაურის წიგნის პრეზენტაცია ორბელიანების სასახლეში

**ორბელიანების სასახლეში ტარიელ ხარხელაურის წიგნის „სამყარო, სამყაროს მიღმა“ პრეზენტაცია გაიმართა. საზოგადოება, პოეტის ნამუშევარს 10 წლის შემდეგ პირველად იხილავს. კრებულში 400-მდე ლექსია შეტანილი.**

**მოწვეულ სტუმრებს სიტყვით საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა. ცერემონიის დასასრულს, პრეზიდენტმა პოეტი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.**



# „კარგს თუ კარგი არ ვუწოდე!“

**ხშირად მსაყვედურობენ: „სულ ნეგატივს აფრქვევ, ნუთუ არაფერი ხდება ისეთი, შენ რომ მოგეწონოს!“**

ღმერთმა ნუ ქნას, დადებითი ემოციებისგან დაიცალოს სამყარო, მაგრამ, უარყოფითი იმის უარყოფითია, დაინახო, ამხილო და მასზე საზოგადოების ყურადღებაც მიაპყრო!

გულწრფელად ვიტყვი: ცუდზე დაგეშილი არასდროს ვყოფილვარ. თუ რამე კარგი გამოკრთება, არ მრჩება ყურადღების მიღმა, თუმცა, ეტყობა, ამდენ უარყოფით ემოციაში დადებითი ჩაიკარგება ხოლმე...

შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო: ობიექტურობის განცდა არასდროს მღალატობს, აკვიატებებიც ნაკლებად მაწუხებს. ამდენად, არ მიჭირს ყოველთვის კარგს კარგი ვუწოდო, ცუდს კი თავისი სახელი დავარქვა!

პოლიტიკურ ჭრილში რამდენჯერ გამიკრიტიკებია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი, თუმცა, ეს არ მიშლის ხელს, მისი კარგი ჩანაფიქრი დადებითად არ შევაფასო!

ამის საფუძველი კი მისი ამასწინანდელი ინიციატივაა, რომელიც ლოგიკური დასასრულით დაგვირგვინდა.

დიახ, 15 დეკემბერს პრეზიდენტის სასახლემ ყველასთვის საყვარელ პოეტს და კიდევ უფრო საყვარელ ადამიანს ტარიელ ხარხელაურს უმასპინძლა.

სად პრეზიდენტი ზურაბიშვილი და სად პოეზია (მით უმეტეს, დღეს)? — ნიშნის მოგებით იკითხავთ თქვენ. თუმცა, ამ აკადემიურმა საღამომ სხვა შთაბეჭდილება დამიტოვა და სიამოვნებაც მომანიჭა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ღირსეულ ადამიანებს სიცოცხლეშივე უნდა მოვეფეროთ — ბატონი ტარიელ ხარხელაური რომ თანამედროვეობის ღირსეული წარმომადგენელია, ამაზე დღეს არავინ დაობს!

ის ისეთივე ხალასი პიროვნებაა, როგორც მისი თავანკარა პოეზია — უტყვი, თავმდაბალი, საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, რომელიც მის ლექსებს ლაიტმოტივად გასდევს.

მიუხედავად ცხოვრებისეული ქარტეხილებისა, იგი არ გამტყდარა, სულით არ დაცემულა, პირიქით, ძალა მოიკრიბა და მიმტევებლობის განსაკუთრებული მაგალითიც გვიჩვენა...

ზოგადად, მე უარყოფითად ვუყურებ ყალბად გაცემულ რეგალიებს, რომელსაც, დღეს ვისაც არ ეზარება, ყველა გასცემს. მაღიზიანებს ბრჭყიალბრჭყიალა ფარატინა ქაღალდები და სისულელემდე დასული ნომინაციებიც (არც შეფასების კრიტერიუმი გააჩნია და არც კომპეტენტური ჟიური ჰყავს). თუმცა, სხვა არის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდო, რომელსაც დამსახურებულ პიროვნებას აძლევენ!

ისე, კაცმა რომ თქვას, ბატონ ტარიელ ხარხელაურს, არანაირი ჯილდო არ სჭირდება — ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის ის სიყვარულია, რომელსაც ხალხისგან იღებს, თუმცა, ვერავინ იტყვის, რომ გუშინდელი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდო — ბრწყინვალების ორდენი, რომელიც პრეზიდენტმა გადასცა, დაუმსახურებლად მიიღო!

ამას მოწმობს დარბაზის რეაქციაც! არა მგონია, ვინმეს ენა მოუბრუნდეს და საპირისპირო გვიმტკიცოს — ასეთი სულით ხორცამდე ჯანმრთელი ადამიანები, იშვიათად იბადებიან!



კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ ტარიელს აღიარებას. ჩემს უფროს მეგობარს დღეგრძელობას და მთასავით ანკარა პოეზიის სიუხვეს ვუსურვებ!

**ზაურ ნაჭყებია,**
**პუბლიცისტი**

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრესის მუზეუმი გაიხსნა

**15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პირველად საქართველოში, გაიხსნა პრესის მუზეუმი. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქეთევან დუმბაძე და სხვა მიწვეული სტუმრები დაესწრნენ.**

მუზეუმი შეიქმნა ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილების ბაზაზე. ამ გადაწყვეტილების მიზანია, ფართო საზოგადოებამ გაიცნოს ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარების ეტაპები, რის შედეგადაც საქართველოში შეიქმნა პრესა, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილი.

საქართველოს პრესის მუზეუმში პირველად იყრის თავს როგორც XIX, ისე XX საუკუნის პერიოდულ გამოცემათა ნიმუშები, რომლებიც ქრონოლოგიურად არის განლაგებული და მნახველს არა მხოლოდ პერიოდიკის, არამედ ეპოქის შესახებაც უქმნის წარმოდგენას.

დამთვალიერებელი მუზეუმში ნახავს ივანე კერესელიძის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, ვალერიან გუნიას და სხვათა გამოცემებს, ჟურნალებს: „ცისკარს“, „საქართველოს მოამბეს“; გაზეთებს: „ივერიას“, „დროებას“, „ცნობის ფურცელს“, „კვალს“, „გუთნისდედას“ და სხვ.

მუზეუმის ექსპონატთა შორის არის პირველი რესპუბლიკის პერიოდისა და საბჭოთა ეპოქის მნიშვნელოვანი გამოცემებიც.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია, როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად გამორჩეული ეგზემპლარები.

მუზეუმში პერიოდული გამოცემების შენახვისა და მოვლისთვის აუცილებელი ყველა პირობაა შექმნილი.



# მწერალ რეზო ჩხარტიშვილის სახელობის ფონდი „ნეოიბერია“

## ბიზნესი და ქველმოქმედება

**საქართველოს ისტორია, დღევანდელობა სავსეა სიკეთის ქმნის უამრავი მაგალითებით, რისი ჩამოთვლაც შეუძლებელია ამ პატარა წერილში. სიკეთე დიდსულოვან ადამიანთა ხვედრია. რაც მეტი შეძლებული ადამიანი ეყოლება ქვეყანას, მეტი ქველმოქმედების საშუალება ექნება ბიზნესმენებსა და მეცენატებს. როგორც დიდი ვაჟა იტყოდა, ჩვენი უბედურება ისაა, ცოტა გვყვანან მდიდრებიო. საბედნიეროდ, ისინი არც თუ ცოტა არიან, მაგრამ ბევრს ავიწყდება ადამიანები და მათი გასაჭირი. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთა მოღვაწეობა მისაბაძია. მათ შორისაა ზვიად ჩხარტიშვილი, იგი ფოთელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რეზო ჩხარტიშვილის უფროსი ვაჟია და აგრძელებს მამის გზას — ქველმოქმედებას.**

**ბატონი რეზო გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, თაობათა აღმზრდელი და დამკვალიანებელი. შეჭირვებული ახალგაზრდების დამხმარე და გვერდში მდგომი, მისი სამწერლო შემოქმედება მეტად ნაყოფიერი იყო, უამრავი რომანის ავტორი, კარგი კრიტიკოსიც გახლდათ, სამართლიანი და პრინციპული.**

**აღსანიშნავია, რომ ზვიად ჩხარტიშვილმა სრულიად ახალგაზრდა კაცმა, დიდ წარმატებას მიაღწია ნავსადგურში მუშაობის დროს, როგორც პროფესიონალმა და მენეჯერმა. ამჟამად საერთაშორისო გადაზიდვების ბიზნესშია ჩართული და წარმატებით ართმევს თავს ამ ურთულეს საქმეს.**

**მამის ხსოვნის პატივსაცემად მან დააარსა „რევაზ ჩხარტიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი „ნეოიბერია“ 2022 წლის 16 თებერვალს. ფონდის მიზანია განსაკუთრებით წარჩინებული მოსწავლე-ახალგაზრდობის და სტუდენტთა მატერიალური წახალისება, მათთვის სტიპენდიის დანიშვნა, სწავლის საფასურის დაფინანსება, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის დარგში განსაკუთრებული მიღწევებისა და წარმატებების მქონე პირთა წახალისება.**

**ყოველთვიურად წარმატებულ სტუდენტებს, ფონდის სტიპენდიატებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები და სიგელები (ფონდის აღმასრულებელი მდივანი ელგუჯა ჭეჟია.).**

**განათლებული ახალგაზრდობა საქართველოს ხვალინდელი დღეა. კარგი იქნება თუ სხვები მიბაძავენ ბატონ ზვიადის მაგალითს, რათა უფრო მეტი გვყავდეს განათლებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ახალგაზრდობა.**

**ზურაბ აბრალავა,**
ფოთი. ტელ: 568 41 71 58

№188. ორშაბათი, 19 დეკემბერი, 2022 წელი.



# მინძაევს, გუჩმაზოვს და სანაკოევს აუცილებლად დაიჭერენ!

## ჰააგამ აგვისტოს ომის საქმის გამოძიება სამი ოსი ბრალდებულისა და აწ გარდაცვლილი რუსი გენერლის „სავარაუდო როლის“ გამოკვეთით დაასრულა

**ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ქერიმ ხანმა 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე საგამოძიებო ეტაპის დასრულების შესახებ განაცხადა საქმე 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ჩადენილ დანაშაულებს ეხება.**

გამოძიებამ გამოკვეთა მხოლოდ სამი ბრალდებული, რომლებიც ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის მკვიდრები არიან. დაკავების ორდერები გაცემულია, კერძოდ, **მიხეილ მაირამის ძე მინძაევზე, ჰამლეტ გუჩმაზოვზე** და **დავით გიორგის ძე სანაკოევზე**. ბრალდებულთა სასამართლოს წინაშე წარსადგენად მუშაობა გრძელდება. დასკვნაში საუბარია ასევე რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის, აწ გარდაცვლილი **ვიაჩესლავ ბორისოვის** „სავარაუდო როლზე“.

ქერიმ ხანის განცხადებაში ვკითხულობთ:

**„გამოძიების დაწყების დღიდან ჩემმა ოფისმა შეისწავლა მტკიცებულებები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს უკავშირდებოდა. პროკურორის ოფისი თავის საქმიანობას დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ობიექტურად ახორციელებდა. იგი თანამშრომლობდა დაზარალებულებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან.**

**აღნიშნული გამოძიების შედეგად 2022 წლის 30 ივნისს პირველმა წინასასამართლო პალატამ სამი ეჭვმიტანილი პირის დაპატიმრების ორდერები გამოსცა. ესენია: მიხაილ მაირამის ძე მინძაევი, ჰამლეტ გუჩმაზოვი და დავით გიორგის ძე სანაკოევი. ჩემს მიერ წარდგენილი ბრალდებები, რომლებთან მიმართებაშიც გაიცა დაპატიმრების ორდერები, ეხება, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ოკუპაციის კონტექსტში ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, წამებას, სასტიკ მოპყრობას, მძევლად აყვანასა და შემდგომში მათ უკანონო გადაადგილებას. როგორც დაპატიმრების ორდერების გაცემის შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას აღვნიშნე, აღნიშნული დანაშაულები დანაშაულებრივი ქმედებების უფრო ფართო ხასიათზე მიუთითებს, როგორიც იყო, მაგალითად, ქართული სოფლებისა და ქართველების კუთვნილი სახლების მასობრივი ძარცვა-განადგურება, ასევე ცხინვალის რეგიონის თითქმის მთელი ქართული მოსახლეობისთვის დაბრუნების უფლებაზე უარის თქმა.**

**აღნიშნულ ეჭვმიტანილებს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მიუძღვით ზემოთხსენებული სავარაუდო დანაშაულების ჩადენაში. გამოძიებისას ასევე გამოიკვეთა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის, ამჟამად გარდაცვლილი ვიაჩესლავ ბორისოვის სავარაუდო როლიც. მას აღნიშნული მოვლენების დროს საჰაერო-სადესანტო ძალების მეთაურის მოადგილის თანამდებობა ეკავა და სავარაუდოდ, განზრახ შეუწყო ხელი ზოგიერთი ამ დანაშაულის ჩადენას.**

**დღეს შემიძლია დავადასტურო, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების გარდა, ჩემი ოფისი აღარ გააგრძელებს გამოძიებას ახალი მიმართულებით საქართველოს ფარგლებში სხვა პირთა სავარაუდო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ან სხვა ქმედებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვინაიდან გარემოებები არსებითად არ შეცვლილა, საქართველოს ვითარების გამოძიების ეტაპი დასრულდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ უკვე ვაცნობე საქართველოს ხელისუფლებას.**

**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსებიდან ოცი წლის შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩემმა ოფისმა გადაწყვიტა, სასამართლოს წარმოებაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით გამოძიების ეტაპი დაესრულებინა. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება პროკურორის ოფისის ეფექტური სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.**

**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულებრივ ქმედებათა მასშტაბის გათვალისწინებით, უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვისარგებლო რომის სტატუტით მონიჭებული დისკრეციით, რათა ეფექტურად ვმართო ჩემი, როგორც პროკურორის მანდატის განხორციელება. თანამდებობის დაკავებისთანავე ერთმნიშვნელოვნად განვაცხადე: არ მსურს გავაგრძელო დაზარალებულთათვის და მსხვერპლთა ოჯახებისთვის გადაჭარბებული დაპირებების მიცემა და შემდეგ მათი ვერშესრულება. რეალური შედეგების მისაღწევად ზედმიწევნით უნდა გავაანალიზოთ, როგორ შეიძლება რესურსების ყველაზე ეფექტიანად გამოყენება იმგვარად, რომ მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგს მათთვის, ვინც მთელს მსოფლიოში ჩვენს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებით დაზარალდა.**

**სიტუაციური დაგეგმვისა და მასთან დაკავშირებული დასრულების სტრატეგიების შემუშავების საჭიროება ასევე ასახავს იმ მზარდ სამართლიან მოლოდინს, რომ სასამართლო გამოძიების გზებს და საშუალებებს, რათა რეალურად იმუშაოს რამდენიმე სიტუაციაზე შეზღუდული რესურსების პირობებში. აღნიშნულის აუცილებლობა ასევე აისახა წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის დაკვეთით დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების ახლახანს ჩატარებულ პროცესში.**

**პროკურორის ოფისი აგრძელებს და სამომავლოდაც გააგრძელებს ძალისხმევას დაპატიმრების ორდერის ადრესატების სამართლებრივი დევნისათვის.**

**ამ მუშაობამ, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაიწყო, მნიშვნელოვანი გააქტიურება გამოიწვია ჩვენს ოფისში საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან ვცდილობთ, წინასწარ მოვემზადოთ სასამართლო განხილვისთვის და უზრუნველვყოთ მტკიცებულებათა დაცვა-შენახვა. მომავალში კვლავაც აუცილებელი იქნება ჩემი ოფისისა და პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა, რათა მოხდეს ჯერ კიდევ თავისუფლებაზე მყოფი ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელის დადგენა და მათი დაკავება, ასევე იმ არსებული საქმეების განხილვა, რომლებმაც სასამართლო განხილვის დაწყებიდან საბოლოო სააპელაციო წარმოების ჩათვლით ყველა ეტაპი უნდა გაიაროს, მათ შორის — ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ასევე რეპარაციების ეტაპიც. აღნიშნული საქმეები სასამართლო პალატების წარმოებაში დარჩება, ხოლო სასამართლოს კანცელარია თავის მრავალგანზომილებიანი მანდატის განხორციელებას გააგრძელებს“.**

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების (I ლოტი - ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთი) პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ვალერი პაქსაძის (პ/ნ 61009009349), თამარა პაქსაძის (პ/ნ 61009024067), ლევან პაქსაძის (პ/ნ 61009017415) და მერი პაქსაძის (პ/ნ 61009009348) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფელ დანისპარაულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.32.052) მთლიანი ფართობის 7 000 კვ. მეტრის ნაწილი - 482 კვ. მეტრი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 08 დეკემბრის №1-1/504 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ, ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფელ დანისპარაულში მდებარე, სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.01.32.052) მთლიანი ფართობის 7 000 კვ. მეტრის ნაწილზე - 482 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასა (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

## ტრამპის წინააღმდეგ, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას



**აშშ-ის კონგრესის სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც 2021 წლის 6 იანვარს მომხდარი კაპიტოლიუმის შტურმის საქმეს იძიებს, რეკომენდაცია შეიმუშავა, რომ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. კომიტეტი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, რომ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ საქმე ამბოხების, სახელმწიფო ორგანოების მუშაობის შეფერხების და მთავრობის შეცდომაში შეყვანის მიზნით შეთქმულების მუხლებით აღძრას.**

ტრამპი აშშ-ის ისტორიაში ამ დონის პირველი პოლიტიკოსია, ვისაც შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალი წაუყენონ.

## ჰოლოდომორი უკრაინელი ხალხის გენოციდად აღიარეს

ევროპარლამენტმა ჰოლოდომორი, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა უკრაინაში 1932-33 წლებში მოაწყო, გენოციდად აღიარა.

**„ევროპარლამენტის დეპუტატები მკაცრად გმობენ ქმედებებს, რომელმაც მილიონობით უკრაინელის სიკვდილი გამოიწვია და მოუწოდებს ყველა ქვეყანასა და ორგანიზაციას, რომლებსაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ, მიბაძონ მათ მაგალითს და აღიარონ ის გენოციდად“,** — ნათქვამია განცხადებაში.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის განდიდებამ და საბჭოთა დიქტატორის იოსებ სტალინის კულტის აღორძინებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოს წარმოადგენს. ევროპარლამენტის დეპუტატები ასევე გმობენ რუსეთის დანაშაულებს, რომელსაც კვლავ ადგილი აქვს უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ, რაც არის ზამთრის პერიოდში უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განადგურება. რეზოლუცია რუსეთის ამჟამინდელ რეჟიმს ადანაშაულებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში, უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოსა და მისი ხალხის იდენტობისა და კულტურის განადგურების მცდელობაში.



რეზოლუცია ასევე გმობს იმ ფაქტს, რომ მიმდინარე ომმა შექმნა გლობალური სასურსათო კრიზისი, რა დროსაც რუსეთი ანადგურებს და ძარცვავს უკრაინის ხორბლის საცავებს და ხელს უშლის უკრაინის მარცვლეულის ექსპორტს მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებში. ამის გარდა, ევროპარლამენტის დეპუტატებს სურთ, რომ ევროკავშირმა და მესამე ქვეყნებმა გაზარდონ ცნობადობა ჰოლოდომორის მოვლენებისა და სხვა დანაშაულების შესახებ, რომლებიც საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ჩაიდინა. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 507-მა დეპუტატმა, 12-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, 17-მა თავი შეიკავა.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ავთანდილ ბაკაშვილის (პ/ნ 40001035093), ლილი ბაკაშვილის (პ/ნ 40001032482), მამუკა ბაკაშვილის (პ/ნ 40001035066) და მეგი ხანდოლიშვილის (პ/ნ 40001034357) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 56.04.50.556 ნაწილი, 1135 კვ. მეტრიდან 509 კვ. მეტრი და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 დეკემბრის №1-1/507 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 56.04.50.556 ნაწილზე, 1135 კვ. მეტრიდან 509 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის ქვეშეთი–კობის მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ზურაბ ბურდულის (პ/ნ 16001011131)** (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, **დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ არახვეთში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 71.62.54.601) მთლიანი ფართობის 1 451კვ. მეტრის ნაწილი - 641 კვ. მეტრი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (მავთულბადე) და მრავალწლიანი ნარგავები** (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 დეკემბრის №1-1/508 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, **დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ არახვეთში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 71.62.54.601) მთლიანი ფართობის 1 451კვ. მეტრის ნაწილზე - 641 კვ. მეტრზე, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასა (მავთულბადე) და მრავალწლიან ნარგავებზე**. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ნანა დემეტრაშვილის (პ/ნ 40001006461) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაქირში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 56.02.48.073 ნაწილი, 1177 კვ. მეტრიდან - 330 კვ. მეტრი და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 დეკემბრის №1-1/507 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაქირში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 56.02.48.073 ნაწილზე, 1177 კვ. მეტრიდან - 330 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე კახა მენთეშაშვილის (პ/ნ 40001034150) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 56.03.53.281 მთლიანი ფართობის 1791 კვ. მეტრის ნაწილი - 283 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 დეკემბრის №1-1/507 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 56.03.53.281 მთლიანი ფართობის 1791 კვ. მეტრის ნაწილზე - 283 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

# გოლი-10-ის მე-6 გოლი

**უკვე რამდენი ხანია გვესმის, ლაშა ტალახაძე ტრავმირებული ებრძვის რკინასო.**

**ბოლოსდაბოლოს, ისიც ადამიანია და ხანდახან ჯანმრთელობა მასაც ღალატობს, მაგრამ საჩხერელი გოლიათი ამავე დროს ზეადამიანიც გახლავთ, რომელსაც ღონიერებაში პლანეტაზე ბადალი არა ჰყავს.**

სწორედ ამიტომ ამარცხებს ერთმანეთის მიყოლებით ღირსეულ მეტოქეებს და სამშობლოსათვის ტიტულები და დიდება მოაქვს.

ერთი სიამოვნებაა, ფიცარნაგზე გამოსული პირჯვარს რომ გადაიწერს და როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, ისე ეკვეთება თვალსა და ხელს შუა დამძიმებულ შტანგას.

ალბათ, ამაშიცაა უფლის წყალობის საიდუმლო, თითქმის მთელი შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში რომ უწევს მეკავშირეობას ქართველი ერის საამაყო ძალოსანს.




შემთხვევითი როდია, როცა ოსტატი და შეგირდი – თავადაც სახელოვანი ათლეტი გიორგი ასანიძე და ჩვენი ოლიმპიური იმედი უმაღლესი რანგის სპორტულ ფორუმებზე მიემგზავრებიან, დარწმუნებულნი ვართ – „ჯვაროსანთა“ ყულაბაში მორიგი ოქროები ჩაჩხრიალდება და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩაროზად რეკორდებიც დამყარდება.

მართალია, ამჯერად გამაყუჩებლებით მოასპარეზე სამი ქალიშვილის (ჯერჯერობით) გმირი მამა, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენე მიღწევას ვერ შესწვდა, მაგრამ კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში დასრულებული მუნდიალის ტრიუმფატორი მაინც გახდა – 109 კილოგრამს ზემოთ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა როგორც ატაცში, ისე აკვრაში, რამაც, ბუნებრივია, ორჭიდშიც მოახვეჭინა მეექვსე გამარჯვება (215+251=466 კგ).

ეროვნული ნაკრების ლიდერს შესანიშნავად აუბა მხარი **ირაკლი ჩხეიძემ** (102 კგ), რომელმაც მეორე ადგილები დაიკავა როგორც აკვრაში, ისე ორჭიდში, გუნდურ ჩათვლაში კი საქართველოს ნაკრებმა მეორე პოზიცია დაიმსახურა.

პარიზის თამაშების სალიცენზიო სეზონის წინ შეგვიძლია ოპტიმისტურად განვეწყოთ – გაზრდილი კონკურენციის მიუხედავად, ომახიან სიტყვას მაინც ვამბობთ!

◎ საშობაო ნობათი

# კარპატებშიც გვასახელა

**მსოფლიოს კარატეს ერთობლივი ფედერაციის (WUKF) ორგანიზებით რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში კარატისტთა ევროპის XIII ჩემპიონატი გაიმართა. საპაექროდ 30 ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდი.**

ჩვენებმა შეჯიბრებაზე 3 მედალი მოიპოვეს. **ჭაბუკა მახარაძემ** 2 ჯილდო დაიმსახურა. ასპარეზობა მან ინდივიდუალური კატით დაიწყო – უფროსების კატეგორიის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ დაამარცხა **ვასილიუს სალინი** (ბულგარეთი), **კრისტოფერ ჩალუპა** (ინგლისი) და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე **ტომა ადრიანი** (რუმინეთი) გავიდა, მესამე ადგილი კრისტოფერ ჩალუპას (ინგლისი) ხვდა. ჭაბუკამ ევროპის ჩემპიონის ტიტული კარიერაში მეხუთედ მოიპოვა.



ქართველმა სპორტსმენმა კუმიტეს აბსოლუტური კატეგორიის მეოთხედფინალში **ჰიმატ სინგის** (ინგლისი, 2:0) აჯობა, მერე **ადამ ზიეტალევისი** (ინგლისი, 2:0) ჩამოიშორა გზიდან, ფინალი კი **იგორ ბალასესკუსთან** (რუმინეთი, 0:1) წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ჩემპიონობა რუმინელს ერგო, ხოლო მესამე იყო **ჯეკ ლიპინსკი** (ინგლისი).

რუმინეთში წარმატებით იასპარეზა 10 წლის **ანდრია საათაშვილმაც.** თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე მან ინდივიდუალურ კუმიტეში **ანგელ დარიუსი** (ბულგარეთი) დაამარცხა 4:0, მერე **ვლად რადულესკუს** (რუმინეთი) სძლია – 4:2, ნახევარფინალში კი **რაულ მურეშანთან** (რუმინეთი) 2:4 წააგო და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი ხვდა.

ჭაბუკა მახარაძე წარმატებული კარატისტია – მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. 2000 წლიდან საერთაშორისო ტურნირებში სხვადასხვა სინჯის 100-ზე მეტი მედალი აქვს მოპოვებული. 2022 წლის აგვისტოში ჭაბუკა მახარაძემ ტოკიოში კარატეს მსოფლიოს ჩემპიონატზე კატასა და კუმიტეში ოქროს მედლები მოიპოვა.

– ევროპის ჩემპიონატი რუმინელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს, – გვითხრა ჭაბუკა მახარაძემ. – შეჯიბრებას WUKF-ის პრეზიდენტი ლივიუ კრისანი (რუმინეთი) და გენერალური მდივანი რობერტო პერი (ბელგია) ესწრებოდნენ, რომლებმაც ევროპის ჩემპიონობა მომილოცეს. წლევანდელი სეზონი ჩემთვის გამორჩეული აღმოჩნდა – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დავიმსახურე; წარმატებით ვიასპარეზე ირანის, საფრანგეთის, თურქეთის, სომხეთისა და ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირებში. მიხარია ისიც, რომ კლუჟ-ნაპოკაში ევროპის ჩემპიონატზე კარგად იასპარეზა ჩემმა მოსწავლემ, 10 წლის ანდრია საათაშვილმა, რომელსაც ბრინჯაოს მედალი ხვდა. ვეცდები, წარმატებები მომავალშიც ვამრავლო და ქომაგები გავახარო.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია



# რევანშიც, ტიტულიც...

**ასეთ სეზონს ვინ არ ინატრებს: ჯერ იყო და „ბორჯღალოსნებმა“ გვასახელეს მთელ სარაგბო სამყაროში, როცა იტალია და უელსი დასცეს, რითაც ექვს ერში დამკვიდრებისთვის წონიანი განაცხადი გააკეთეს (აღარაფერს ვამბობთ ტონგას ნაკრებთან პრინციპულ ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებაზე), ხოლო წლის ფინიშზე უკვე პირველი ქართული ფრენჩაიზის ოქროს ლომის ჯერი დადგა, რომელმაც ზედიზედ მეორედ მოიხვეჭა ევროპის სუპერთასი.**

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბში კეპის მომხვეჭთა დაახლოებით ნახევარი თამაშობს და მასაც **ლევან მაისაშვილი** თავკაცობს, სატიტულო ჯახი კი ისრაელის თელ ავივ ჰითს 29:17 მოუგო, ვისთანაც ჯგუფურ რაუნდში უარყოფითი ბალანსი ჰქონდა – 25:25 და 18:24.

დავძენთ, რომ სტუმრებს პირველივე ტაიმში მოვუკალით ინტრიგა – 22:3, ანგარიში კი მას შემდეგ შეგვიმცირეს, რაც მსაჯმა სარბიელიდან თორნიკე აქუბარდია გააძევა.

◎ სეზონის ფინიშზე

# ღირსეულად დახურეს

**დუბაიში გამართულ მსოფლიო თასზე საქართველოს პარაწოლჭიმის ნაკრების ანგარიშზე 1 ვერცხლის და ამდენივე ბრინჯაოს მედალია.**

+107 კილოგრამ წონით კატეგორიაში **აკაკი ჯინჭარაძემ** 239 კგ დააფიქსირა და მეორე ადგილზე გავიდა. ხოლო **აჰმად რაზმ აზარმა** 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში 200 კგ. ასწია და ბრინჯაო მოიპოვა.

საქართველოს პარაწოლჭიმის გუნდისთვის 2022 წელი დუბაის მსოფლიო თასით დასრულდა. მიმდინარე წელს საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ანგარიშზე სხვადასხვა პარასპორტის სახეობაში მოხვეჭილი 74 მედალია.



# საფეხბურთო მოზაიკა

**ყატარში დასრულებული მუნდიალი ქართულმა სამოსმაც დაამშვენა.** საუბარია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კომპანია „აჭარა ტექსტილის“ (დირექტორი **გიორგი ლომინაძე**) მიერ შექმნილ სპორტულ ეკიპირებაზე, რომლითაც, არც მეტი, არც ნაკლები, საფრანგეთის ნაკრები თამაშობდა. კიდევ უფრო საამაყოა მაისურის კუთხეში ამოქარგული წარწერა „დამზადებულია საქართველოში“, რაც, დაგვეთანხმებით, დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას მთელ პლანეტაზე.

დავძენთ, რომ აქამდე ქართველ მეწარმეთა პროდუქციით სხვა ნაკრებებიც სარგებლობდნენ, მაგალითად – იტალია.

* * *

**მართალია, ყატარის სტადიონებზე გამართული მსოფლიოს 22-ე ჩემპიონატი ფავორიტების – არგენტინისა და საფრანგეთის გუნდების ლოგიკური ფინალით დაგვირგვინდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ტურნირის სენსაციის – მაროკოს ნაკრების სახით ფორუმის აღმოჩენამაც მოიგო გულშემატკივართა გულები.**

საბოლოოდ ტრავმების ეპიდემიით გატანჯული ვალიდ რეგრაგის შეგირდები საპატიო მე-4 ადგილით დაკმაყოფილდნენ, რადგან ღირსეულ ბრძოლებში დათმეს ჯერ ნახევარფინალი საფრანგეთთან – 0:2, ხოლო შემდეგ მატჩი ბრინჯაოს მედლებისათვის ხორვატებთან – 1:2.




* * *

**როგორც მოგეხსენებათ, იტალიის სერია – ა 4 იანვარს ნაპოლისა და ინტერის სუპერდუელით განახლდება.**

უმნიშვნელოვანესი შეხვედრის წინ ლუჩანო სპალეტის გუნდმა მორიგი სპარინგი ესპანურ „ვილიარეალთან“ 2:3 წააგო.

მეორე ბურთი პირენეელებს პენალტით **ხვიჩა კვარაცხელიამ** გაუტანა, რომელიც ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა, ხოლო არაბული მუნდიალის მონაწილენი – ზელინსკი, ანგისა და ოლივერა განაცხადში არ იყვნენ.



# მძღოლო, სდექ!!!

## იანვრიდან ტექდათვალიერების მოთხოვნები მკაცრდება და ახალი გადასახადიც წესდება

**2 კვირის შემდეგ ტექდათვალიერებაზე მისულ მძღოლებს ბევრი ცვლილება დახვდებათ, რომელთა დიდი ნაწილი მათთვის სახარბიელო არ იქნება. საქმე ეხება მანქანის გამონაბოლქვის სტანდარტის გამკაცრებას, ხმაურის დონის შემოწმებასა და განმეორებითი ინსპექტირებისათვის გადასახადის დაწესებას.**

2023 წლის 1 იანვრიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის ფარგლებში, მავნე გამონაბოლქვის შემცირების მიზნით, ძალაში შედის გამონაბოლქვზე შემოწმების სტანდარტის გამკაცრება. ეს გულისხმობს ტექნიკური ინსპექტირებისას გამოსაყენებელი გამონაბოლქვში ნახშირჟანგის შემცველობის ნორმების კოეფიციენტის განსაზღვრას.

კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრიდან ბენზინის ძრავიანი ავტომობილის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისას ავტომობილის გამონაბოლქვში CO-ს დასაშვები ზედა ზღვარი შემცირდება და გახდება 0.55% ძრავის უქმ სვლაზე.

**„საწყის ეტაპზე — 2017 წელს, გამონაბოლქვის დასაშვები ნორმების გამკაცრების გადავადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებული იქნა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სტატისტიკური ინფორმაციის გათვალისწინებით, რადგანაც საქართველოს ავტოპარკი მზად არ იყო რეგულაციების გამკაცრებისთვის, პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაქვემდებარებული მთლიანი საავტომობილო პარკის დაახლოებით 50% ვერ დააკმაყოფილებდა CO-ის შემცველობასთან დაკავშირებულ სტანდარტს და დახარვეზდებოდა.**

**იმ მიზნით, რომ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს, პანდემიის პირობებში მისცემოდათ დრო და საშუალება, რათა გამონაბოლქვში CO-ს შემცველობის ევროპულ სტანდარტთან დაახლოებისთვის მოეწესრიგებინათ მათ მფლობელობაში არსებული ავტომობილები, ზემოაღნიშნული ცვლილებებით დადგინდა 2023-2025 წლებისთვის განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოსაყენებელი CO-ს კოეფიციენტის განსაზღვრის გარდამავალი ეტაპები.**

**ცვლილებების თანახმად, 2024 წელს გამონაბოლქვში CO-ს დასაშვები ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 0.5%-ს, 2025 წლიდან კი ძრავის უქმ სვლაზე — 0.5%, ხოლო ძრავის უქმ სვლაზე მაღალ ბრუნთა რიცხვით — 0.3% უნდა შეადგინოს.**

**ამ ნორმების ეტაპობრივი გამკაცრების შემდგომ 2025 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნება სრული შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან გამონაბოლქვის შემოწმების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საავტომობილო პარკის ეკოლოგიურ მდგომარეობას და შეამცირებს ავტომობილის გამონაბოლქვის შედეგად გარემოსთვის მიყენებულ ზიანს“,** — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციაში.

იანვრიდანვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ტექდათვალიერების დროს ხმაურზეც შეამოწმებენ და ხმაურის დონის (დეციბალებში) საშუალო მაჩვენებელი დადგინდება.

2019 წლიდან მოყოლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ხმაურის შემოწმების კომპონენტის შემოწმების ვალდებულება რამდენჯერმე გადავადდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზენორმატიული ხმაური უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ურბანულ პირობებში და ღამის საათებში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ხმაურის შემოწმების ვალდებულება, რაც განხორციელდება ერთ-ერთ კომპონენტად პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ფარგლებში.

ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტები რეგულაციების დაწესებას მიესალმებიან, თუმცა აქვთ შენიშვნებიც და აცხადებენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებას საავტომობილო ბაზარი მოუმზადებელი ხვდება.

საავტომობილო ბაზრის ექსპერტი **ელგუჯა ჯამაგიძე** ამბობს, რომ ინფორმაციული კამპანია ვერ აწარმოა სახელმწიფომ, ამ მხრივ სრული ქაოსია. ცალკე პრობლემაა ხარჯი, რისი გაღების შესაძლებლობა მძღოლების უმეტესობას არ აქვს.

გარდა ამისა, 2023 წლის 1 თებერვლიდან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირება ფასიანი ხდება.

საერთაშორისო პრაქტიკით, უმეტეს სახელმწიფოებში, სადაც მოქმედებს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება საქართველოს მსგავსი სისტემით, განმეორებითი ინსპექტირებისთვის დაწესებულია საფასური, რომელიც შეადგენს პირველადი ინსპექტირების საფასურის დაახლოებით 30%-ს.

შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალების განმეორებით ტექნიკურ ინსპექტირებაზე საქართველოშიც დგინდება საფასურები შემდეგი განაკვეთებით:

**— მძიმეწონიანი სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის (M2, M3, N2, N3 — კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის) — 30 ლარი.**

**— მსუბუქი სამგზავრო (M1 კატეგორია) და სატვირთო (N1 კატეგორია) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, და მისაბმელებისთვის (O3, O4) — 20 ლარი.**

**— ელექტრომობილებისთვის (M1 კატეგორია) - 15 ლარი.**

**ბექა დანელია**

სანთელი

# რამაზ აფხაიძის ნათელ ხსოვნას!



**40 დღე გავიდა, რაც შენი ომახიანი, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ხმა არ გაგვიგია. შენ ხომ ვერავინ მოგასწრებდა სადღესასწაულო მილოცვებს. ყველას ეფერებოდი და ამხნევებდი. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ძალიან განიცდიდი დღევანდელ მდგომარეობას.**

**თითქმის 40 წელი ემსახურე თბილისის განაშენიანების საქმეს სხვადასხვა თანამდებობებზე. გამოირჩეოდი პატიოსნებით და სამართლიანობით. ვერ იტანდი მატყუარებს, 14 წელი გავიდა, რაც უძვირფასესი ახალდაქორწინებული ვაჟი — ნიკა ტრაგიკულად დაგეღუპა. მანამდე ძმა, მომღერალი ნუგზარ აფხაიძე დაკარგე. 2 წელი გავიდა, რაც უსათნოესი მეუღლე ირინე გარდაიცვალა. ყველაფერს ვაჟკაცურად იტანდი, შვილი გია, შვილიშვილები და დაიკო თავს გევლებოდნენ, მაგრამ... ბედისწერა ბედისწერაა.**

**ძალიან დაგვაკლდები, ჩვენო ძმაო!..**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.**

**რომულ ჯიქია, გივი ნაცვლიშვილი, გურამ კაკულია, იური მიქაბაძე, იუზა ცარციძე, ომარ გუგუნავა.**

## ხონში ახალგაზრდა კაცი მოკლეს

**ხონში, სამხედრო დასახლებაში ბარბარობის ღამეს ახალგაზრდა კაცი მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, სისხლიან დაპირისპირებას წინ დილით მომხდარი ჩხუბი უძღოდა.**

**კაცი დამნაშავემ ცივი იარაღით მოკლა. შსს-ის ცნობით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. პოლიციას სავარაუდო დამნაშავე იდენტიფიცირებული ჰყავს.**

## ავარია ყვარელში, არის მსხვერპლი

**ყვარელში ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა კაცი ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბეტონის ჯებირს შეეჯახა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.**

**მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.**

## ირანში ცნობილი მსახიობი დააკავეს



**ირანში ცნობილი მსახიობი დააკავეს, რომელიც ანტისამთავრობო დემონსტრანტებს მხარდაჭერას უცხადებდა. მას ბრალად „სიცრუის გავრცელება“ წარუდგინეს.**

**38 წლის თარანე ალიდოსტი საპროტესტო აქციების ხისტი გზებით ჩახშობის გამო ირანის მთავრობას ღიად აკრიტიკებდა. მან ინსტაგრამში გაავრცელა ფოტოები, რომელზეც ის ხიჯაბის გარეშეა. მან ასევე დაგმო დემონსტრაციების მონაწილეთა სიკვდილით დასჯის ფაქტებიც. როგორც ირანის ხელისუფლებაში აცხადებენ, მსახიობმა მის მიერ სოციალური ქსელებით გავრცელებულ პოსტებში წარმოდგენილი ინფორმაცია მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა.**

# აჭარაში წარჩინებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ

**აჭარაში სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 39 წარმატებული სტუდენტი დაჯილდოვდა. სტუდენტებს სიგელები და ფულადი ჯილდო გადაეცათ,** — ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, 2021-2022 წლებში სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში 2400 სტუდენტი დაფინანსდა, ხოლო სულ აღნიშნული პროგრამით 2012-2022 წლებში ისარგებლა 10 000-მდე სტუდენტმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სტუდენტებს მიღწეული წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ განათლება რჩება მთავარ პრიორიტეტად და 2023 წელს განათლების და ახალგაზრდების ხელშეწყობის მიმართულებით დაფინანსება კიდევ უფრო იზრდება.

**„მინდა მოგილოცოთ დღევანდელი წარმატება, მერწმუნეთ, რომ შრომას, განსაკუთრებით როცა საქმე განათლებას ეხება, ყოველთვის მოაქვს შედეგი.**

**მახარებს, რომ გარდა სტუდენტების მხარდამჭერი პროგრამებისა, მომავალ წელს კიდევ უფრო მეტად გავზრდით განათლების ინფრასტრუქტურის, სტუდენტთა ხელშეწყობის, საზღვარგარეთ სწავლების პროგრამების დაფინანსებას. ასევე, სტუდენტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით დაიწყება სტუდენტთა საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა ბათუმში“,** — განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ სტუდენტებთან შეხვედრისას.



აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2012 წლიდან ახორციელებს სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამას. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია. სტუდენტები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძემ, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძემ დააჯილდოვეს. 2023 წლის აჭარის ბიუჯეტის ფარგლებში ასევე იზრდება საზღვარგარეთ სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება და 200-მდე სტუდენტი ისარგებლებს აღნიშნული პროგრამით. 100 სტუდენტს დაუფინანსდება სწავლა-სტაჟირება საზღვარგარეთ.



## ცოტა მეტ სიმშვიდეს ვისურვებდი!

**საშობაო საჩუქრად რომის პაპ ფრანცისკეს მეტი სიმშვიდე სურს. ამის შესახებ რომის პაპმა ესპანურ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა.**

ჟურნალისტის კითხვაზე, რა საჩუქარს ისურვებდა სასულიერო პირი საშობაოდ, რომის პაპმა თქვა, რომ „ცოტა მეტ სიმშვიდეს ისურვებდა“.

**„ცოტა მეტ სიმშვიდეს. რამდენი ომია მსოფლიოში! უკრაინაში რაც ხდება უფრო მეტად გვეხება, მაგრამ მოდით, ასევე გავიხსენოთ მიანმარი, იემენი, სირია, სადაც ისინი 13 წელია, იბრძვიან“, —** განაცხადა პაპმა. ამასთან, პაპმა ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ აღნიშნა, რომ ახლა ყველაზე მეტად ქუჩაში გასვლა ენატრება.

**„ბუენოს აირესში ძალიან თავისუფალი ვიყავი. ქუჩაში გასვლა მენატრება, ადამიანებთან კონტაქტი დადებითად მოქმედებს“, —** აცხადებს პაპი.

## მუზეუმიდან მოპარული ძვირფასეულობების ნაწილი ნაპოვნია



**გერმანიის პოლიციის ცნობით, მათ 2019 წელს დრეზდენში, ცნობილი მუზეუმიდან „მწვანე თაღი“ მოპარული ძვირფასეულობების ნაწილის დაბრუნება შეძლეს. გამოცემის ინფორმაციით, ექსპონატები შაბათს აღმოაჩინეს და მუზეუმში დააბრუნეს. საუბარია 31 ნივთზე, თუმცა მოპარული ექსპონატების ნაწილი კვლავ დაკარგულად ითვლება, მათ შორისაა ბანტი, რომელშიც საკმაოდ დიდი დრეზდენის თეთრი ბრილიანტია მოთავსებული.**

არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ექსპონატების დაბრუნება ძარცვაში 6 ეჭვმიტანილის ადვოკატებთან მოლაპარაკებების შემდეგ შეძლეს. სხვა დეტალები ამ ეტაპზე უცნობია. დრეზდენში ცნობილი მუზეუმი „მწვანე თაღი“ 2019 წლის ნოემბერში გაძარცვეს. პოლიციამ მოპარული ნივთების ფოტოებიც გამოაქვეყნა, რომელთა ღირებულება 113 მილიონ ევროს შეადგენს. ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ძარცვა იყო ისტორიაში. „მწვანე თაღი“ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძვირფასეულობის კოლექციაა. მასში ოთხი ათასი საიუველირო მორთულობაა. ის საქსონიელმა კურფიურსტმა ავგუსტმა XVII საუკუნეში დააარსა.

## წლის ყველაზე ცუდი ფილმები

**გამოცემამ Variety წლის ყველაზე ცუდი მხატვრული ფილმების ათეული გამოაქვეყნა. სია კინოკრიტიკოსებმა ოუენ გლეიბერმანმა და პიტერ დებრიუჟმა შეადგინეს.**

ჩამონათვალში მოხვდა ფილმები, რომლებშიც თამაშობენ: ტიმოთი შალამე, ტილდა სუინტონი, კრისტიან ბეილი, მარგო რობი და სხვები. ათეული კი ასე გამოიყურება:

**1. ამსტერდამი; 2. მინიონები: გრუვიტაცია; 3. ძვლები და სხვა დანარჩენი; 4. ცეცხლის წამკიდებელი; 5. სურვილების 3 ათასი წელი; 6. ქერა; 7. დიდი ბაგი; 8. ბუშტი; 9. სპაიდერჰედი; 10. კოდი 355.**

## დი კაპრიოს გმირი „ტიტანიკიდან“ ვერ გადარჩებოდა



**„ტიტანიკის“ რეჟისორმა ჯეიმს კემერონმა გადაწყვიტა წერტილი დასვას მრავალწლიან კამათში, რომელიც მისი ლეგენდარული ფილმის ფინალს ეხება. საუბარი ლეონარდო დი კაპრიოს გმირის, ჯეკის სიკვდილის სცენაზეა. საქმე იმაშია, რომ ფილმის თაყვანისმცემლები დარწმუნებულები არიან, რომ ჯეკის გადარჩენა შესაძლებელი იყო. კემერონმა თავისი სცენარის სისწორის დასამტკიცებლად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი და კასკადიორები დაიქირავა, შემდეგ კი ექსპერიმენტი ჩაატარა, რომელშიც ტივზე გადაღებული სცენა გამეორდა.**

რეჟისორის თქმით, ექსპერიმენტში 2 კასკადიორი მონაწილეობდა, რომელთა წონაც ფილმში მთავარი როლების შემსრულებლების — კეიტ უინსლეტისა და ლეონარდო დი კაპრიოს სხეულების მასას შეესაბამებოდა. ისინი წყალში მოათავსეს და სხვადასხვა ტესტი ჩაატარეს. კემერონი ამტკიცებს, რომ ყველა კვლევამ დაამტკიცა — ასეთ პირობებში ორივე ადამიანი ვერ გადარჩებოდა, მხოლოდ ერთი მათგანი.

**„მეცნიერული კვლევა ჩავატარეთ, რათა ამ დისკუსიაში ერთხელ და სამუდამოდ დავსვათ წერტილი“, —** განაცხადა რეჟისორმა და დასძინა, რომ მაყურებელი ამ ექსპერიმენტს თებერვალში ნახავს, როდესაც ეკრანებზე „ტიტანიკის“ შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი გამოვა. „ტიტანიკი“ ეკრანებზე 1997 წელს გამოვიდა. ფილმი „ოსკარზე“ სულ 14 ნომინაციაში იყო წარმოდგენილი, საიდანაც 11-ში გაიმარჯვა.



## ბერლინში გიგანტური აკვარიუმი გასკდა

**ბერლინში, სასტუმრო „რედისონ ბლუში“ გიგანტური აკვარიუმი გასკდა და სასტუმროს მისაღები და მიმდებარე ქუჩები დატბორა. AquaDom-ში 1500 ტროპიკული თევზი ცხოვრობდა. მისი სიმაღლე 14 მეტრი იყო და მსოფლიოში ყველაზე დიდ აკვარიუმად ითვლებოდა.**

პოლიციის ინფორმაციით, შუშის ნამსხვრევებმა ორი ადამიანი დააზიანა. ზარალი ძალიან დიდია. აკვარიუმს რეაბილიტაცია ბოლოს 2 წლის წინ ჩაუტარდა.

## „ბარბის“ პირველი თიზერ-თრეილერი



**სტუდიამ Worner. Bros ფილმის „ბარბი“ პირველი თიზერ-თრეილერი გამოაქვეყნა.**

თრეილერში თოჯინებით მოთამაშე გოგოები გიგანტურ ბარბის ხედავენ - კადრები სტენლი კუბრიკის „კოსმოსური ოდისეაში“ შავი მონოლითის გამოჩენას იმეორებს. სურათის რეჟისორი გრეტა გერვიგია. ფილმის სცენარი მან ნოა ბაუმბახთან ერთად დაწერა. მთავარ როლებს კი სურათში მარგო რობი და რაინ გოსლინგი თამაშობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## გამოიწერეთ ან იყიდეთ ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დამცველი გამორჩეული გაზეთი!

ქრისტეშობისთვე გადამწყვეტია ბეჭდური მედიის, ანუ ტრადიციული და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერა-გავრცელება-გადარჩენისთვის!

ბუნებრივია, ხელმომწერთა სიმრავლე მთავარი პირობაა 105 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აღორძინებისთვისაც...

ამიტომაც წიგნიერ საქართველოს — ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიწერონ ჩვენი სანდო, მართალი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!

ხელმოწერა შეგიძლიათ, გააფორმოთ შემდეგ გამავრცელებლებთან:

შპს „ელვაჯი“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;
შპს „პლანეტა ფორტე“, 2 99 18 59.

ხელმოწერასა და გაზეთის ბინაზე მიტანაში უშურველად დაგეხმარებათ თვით რედაქციასთან ურთიერთობაც — ჭავჭავაძის პროსპექტი №17ა, „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის“ ოფისი, დარეკეთ: 5 99 36 00 35, 577 77 27 17.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 20 დეკემბერს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6674; ევრო - 2.8341;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2452;
100 რუბლი - 4.1225; თურქული ლირა - 0.1436;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5720;
1000 სომხური დრამი - 6.7701

**ამინდი 19 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +12 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე +15 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge